„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქარიოული ტიტანიკა

№4 (268)

ფასი 1 ლარი

28 იანვარი – 3 თებერვალი, 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გაბედულის ბედისწერაებით

„არეულობა დაიწყება... ყველაფერი ივანიშვილის წინააღმდეგაა მიმართული!“

„გეტყვით, შსს-ს რა უნდა განეხორციელებინა: შეემოწმებინა სამხედრო ნაწილებში აღრიცხული ასაფეთქებელი საშუალებები სამხედრო კონტრდაზვერვისა და სამხედრო პოლიციის ჩართვით, ასევე, დაედგინა, იმ დღეებში საზღვრები ვინ გადალახ-გადმოლახა და მათ შორის ხომ არ იყვნენ სამხედროები, რუსეთის მოქალაქეები და ასე შემდეგ. ამასთან, უნდა დადგენილიყო, აფეთქების დღეს, ბოლოს, ვინ და რისთვის დაურეკა იური ვაზაგაშვილს.“

„მკვლელი საქართველოში აღარაა!“

>>> მე-2-3 გვ.

სატანური ნიშნები იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში

„ისინი, ვინც ეს ჩაიდინეს, რაღაც რიტუალს ასრულებდნენ... შავი მაგიის წევრები იყვნენ...“

„მსხვერპლშეწირვა ჩვეულებრივი შავი მაგიაა, რომელსაც დემონურ ძალებთან პირდაპირი კავშირი აქვს. ეშმაკი გარკვეულ მსხვერპლს ითხოვს, რის გაღების შემდეგაც, ადამიანები, ძალაუნებურად, შავ მაგიაში ერთვებიან. მათ სჯერათ, რომ თუ დემონს მსხვერპლს შესწირავენ, მაშინ იმას მიიღებენ, რაც სურთ. მარტივად რომ ვთქვა, ეს ხელშეკრულებაა თვით სატანასთან“.

რა გავლენას ახდენს ლარის კურსზე „ბენზინის მაფია“

>>> მე-13 გვ.

სოლომონ პავლიაშვილი ლარის დევალვაციის მიზეზებს ასახელებს

>>> მე-10-11-12 გვ.

„ეს ინტერვიუ ჩემი პირველი საჯარო გამოსვლაა!“ როგორ შეაღწია ქართველმა ჟურნალისტმა რუსებისგან ოკუპირებულ აფხაზეთში

„შენ, რუსო ოკუპანტო, ამას არ გაპატიებ!“ – ზაირა მიქატაძის ფოტოები იავარქმნილი აფხაზეთიდან

№ 4 (268)
28.I-3.II
იანვარი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲒᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

„არეულობა დაიწყება... ყველაფერი ივანიშვილის წინააღმდეგაა მიმართული!“

„იური ვაზაგაშვილის აფეთქება ჩვეულებრივი მკვლელობა კი არა, პოლიტიკური ტერორია. ამიტომ, საქმე მკვლელობის კი არა, სისხლის სამართლის 323-ე მუხლით უნდა აღძრულიყო. სწორედ იმიტომ, რომ არასწორი კვალიფიკაცია მიეცა, მგონია, რომ ამ საქმის გახსნა გაჭიანურდება, რასაც ქვეყანაში დიდი არეულობა მოჰყვება. საერთოდ, არ გამოვრიცხავ, რომ ამ მკვლელობის შემკვეთთა მიზანიც სწორედ არეულობაა“, — აცხადებს „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე. ქართველი სპეცსამსახურელი „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში რამდენიმე წლის წინ, აშშ-ის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებასაც იხსენებს, სადაც, ვაზაგაშვილის საქმის მსგავსად, სასაფლაო ფიგურირებდა და ეჭვობს, რომ ყველაფერი ეს ერთმანეთთან კავშირშია. ფორჩხიძე არც იმას გამორიცხავს, რომ რამდენიმე კვირის წინ, ირაკლი ალასანიას ბინაში ქურდის შესვლაც იმ ჯაჭვის ნაწილი იყოს, რომლის სათავეც შესაძლოა, „გე-რე-უ“-ს ეჭიროს. მაშ ასე, რატომ დაემთხვა იური ვაზაგაშვილის ცინიკური მკვლელობა სომხების მიერ 400-ზე მეტი ქართული ტაძრის სომხურად გამოცხადების მოთხოვნას და რას ნიშნავს პოლიტიკური ტერორი? — „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს უშიშროების ყოფილ მაღალჩინოსანთან, რომელიც სამსახურიდან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლოა, იმიტომ გამოუშვეს, რომ „რუსული კავშირების“ გამოაშკარავებას ცდილობდა.

კონსტანტინე ფორჩხიძე: — ალექსანდრე ჭიკაიძეს გადადგომა ან უკარნახეს, ან თვითონ მიხვდა, რომ ის მოვლენები, რაც შეიძლება, იური ვაზაგაშვილის მკვლელობას მოჰყვეს, საბოლოო ჯამში, შსს-ს დაარტყამს და გადადგომა, ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევდა, თან სხვა ფორმით. საერთოდ, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ჩვეულებრივი კი არა, პოლიტიკური ტერაქტია, რომელიც პოლიტიკურად აქტიური პიროვნების წინააღმდეგ განხორციელდა და როცა ასეთ დროს მინისტრი მიდის, ეს, პრაქტიკულად, მთელი ძალოვანი უწყების კაპიტულაციას ნიშნავს, რაც ძალიან შემაშფოთებელია.

— ჭიკაიძის გადადგომასა და ე.წ. კასპის ტერაქტამდე, თანამდებობა ქალაქის პოლიციის უფროსმა დატოვა, რომელსაც ცხონებული იური ვაზაგაშვილი თავისი ვაჟის მკვლელობის თანამონაწილედ ასახელებდა. ახლახან, მირზოევიც გადადგა, რომელიც, ასევე, „კორტების სპეცოპერაციაშია“ მხილებული. მაშასადამე, 9-წლიანი ლოდინის შემდეგ, ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, ვისაც 2006 წლის 2 მაისის მოვლენებთან შეხება, პირდაპირ თუ ირიბად, ჰქონდა?

— წესით, ყველას პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, მაგრამ იცით, რა არის საინტერესო? — იური ვაზაგაშვილის მკვლელობას განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს. არადა, ეს ტიპური პოლიტიკური ტერორისტული აქტია.

— მაპატიეთ, მაგრამ იური ვაზაგაშვილი პოლიტიკოსი არ ყოფილა...

— პოლიტიკოსი არა, მაგრამ პოლიტიკურად აქტიური ფიგურა იყო, რომელიც თავისი შვილის, ზურა ვაზაგაშვილის მოკვლის შემდეგ, თითქმის 9 წლის განმავლობაში, სამართლიანობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ ითვლებოდა!

— გამოდის, რომ ხალხს ეს სიმბოლო, ანუ ბოლო იმედი მოუკლეს! ბატონო კოტე, იზიარებთ „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ვერსიას, რომ ტერაქტის კვალი შეიძლება, რუსეთამდე, კონკრეტულად, რუსულ სპეცსამსახურებამდე მივიდეს?

— ამ ვერსიას არსებობის უფლება ბევრი გარემოების გამო აქვს: პირველ რიგში, ის, რომ აფეთქება რუსული წარმოების ასაფეთქებელი საშუალებით მოხდა.

— რა იცით, რომ ასაფეთქებელი საშუალება რუსული იყო?

— ითქვა...

— რუსულ წარმოებაზე აქცენტი არ გაკეთებულა. უბრალოდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქება ქარხნული წარმოების ნაღმით განხორციელდა...

— ასაფეთქებელ საშუალებებს საქართველო არ აწარმოებს, ვერც ქუჩაში იყიდი...

— ასაფეთქებელი საშუალება დისტანციურია?

— შეიძლება, დისტანციურიც იყოს. არ ვიცი, ვაზაგაშვილი კონკრეტულად რა ტიპის საშუალებით ააფეთქეს, მაგრამ ტელევიზიით რაღაც ნაგლეჯი აჩვენეს, რომელიც ჩვეულებრივ „ლიმონკას“ არ ჰგავდა და რომლის შეძენაც სირთულეს არ წარმოადგენს. საერთოდ, სხვადასხვა ტიპისა და კლასიფიკაციის ნაღმი არსებობს. ამიტომ, საჭიროა, ექსპერტიზამ ამ ნაღმის წარმომავლობა დროზე დადგინოს...

— შეიძლება, დაადგინა, მაგრამ არ ახმაურებს...

— ასეა თუ ისე, ნაღმი უკვე გარკვეული კვალია.

— რატომ?

— ნაღმები სპეცსამსახურებს აქვთ...

— ნაღმების სიმცირეს არც ტერორისტული ორგანიზაციები განიცდიან...

— დიახ, ასეა... სხვათა შორის, ნაღმებზე ხელი დამნაშავეთა სამყაროსაც მიუწვდება. ასევე, საგულისხმოა, რომ ნაღმები შეიარაღებულ ძალებშიცაა...

— პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა არ გამორიცხა, რომ აფეთქების კვალი, შესაძლოა, ჩვენგან არაკონტროლირებად ტერიტორიამდე მივიდეს. სხვათა შორის, სოფელი, სადაც იური ვაზაგაშვილი მოკლეს, რუსებისგან ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს ესაზღვრება...

— ეს ვერსია რეალურად არ მიმაჩნია, თუმცა, ვინც ტერაქტი დაგეგმა, სასაფლაო, ალბათ, სწორედ ამიტომ შეარჩია, რომ ეს ვერსიაც გაჩენილიყო. საერთოდ, რაც ბევრი ვერსია იქნება, გამოძიება გართულდება, რადგან ყველა ვერსია უნდა გადამოწმდეს.

— ისე, უცნობია, გამოძიება რა ვერსიაზე მუშაობს... ყარაფილას მცხოვრებთა თქმით, სოფელში, 2008 წლის აგვისტოს მერე, სამართალდამცავები პატრულირებენ და ყველა უცხოს ამოწმებენ. ეს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დეტალი არაა?

— მხოლოდ ეს კი არა, ისიც დეტალია, რომ იმ დღეს დასაფლავებაზე უამრავი ხალხი იყო, ასეთ დროს კი, უცხო პირი ყურადღებას არ იქცევს...

— მესმის, მაგრამ ეჭვობთ, რომ ნაღმი აფეთქების დღეს დაამონტაჟეს?

— დიახ, რადგან ტერაქტამდე რამდენიმე, ან თუნდაც ერთი დღით ადრე მხოლოდ მართვად ნაღმს ამონტაჟებენ ხოლმე, თუმცა მუდმივი მეთვალყურეობა მართვად ასაფეთქებელსაც სჭირდება... დამდგარი შედეგიდან ჩანს, რომ მკვლელი ყველაფერს აკონტროლებდა და იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მსხვერპლი სასაფლაოზე აუცილებლად მივიდოდა...

— სხვათა შორის, როგორც ადგილობრივებს უთქვამთ, იური ვაზაგაშვილი საფლავზე მისვლას არ აპირებდა, მაგრამ შეუმჩნევია, რომ წინა დღეს დადებული ყვავილები არეული იყო და, ასე ვთქვათ, გასწორება გადაუწყვეტია. აფეთქებაც სწორედ ამ დროს მომხდარა... ისე, ადვოკატის თქმით, ვაზაგაშვილს უსმენდნენ...

— ყველაფერი ეს ლოგიკაა, ანუ თუკი იმას, რაც მოხდა, სწორად დავალაგებთ, გამოჩნდება, რომ ამას ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა. დამხმარეს თავი რომ დავანებოთ, მკვლელს გარკვეული რესურსი, ანუ საფარი სჭირდებოდა, რათა არავის შეემჩნია. სწორედ ამიტომ ჩნდება ვერსია, რომ ვაზაგაშვილს უსმენდნენ.

— მოდით, შეკითხვა ასე დავსვათ, კოტე ბატონო: „ოცნებას“, მიუხედავად იმისა, რომ შვილის მკვლელების მფარველობაში ამხელდა, ვაზაგაშვილის მოკვლა, აპრიორი, არ აწყობდა. იგივეს თქმა „ნაციონალებზეც“ შეიძლება?

— დიახ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყველა შემთხვევაში, აქცენტი მათზე გაკეთდებოდა. „ნაციონალებს“, ლოგიკით, ვაზაგაშვილი კი არა, ის მოწმე უნდა მოეცილებინათ, რომელსაც ახალი გარემოებები ექნება და სასამართლოზე წარსდგება.

— სიტყვამ მოიტანა და, ერთ-ერთი ჟურნალისტი აცხადებს, რომ აფეთქებამდე ნახევარი საათით ადრე იური ვაზაგაშვილს, რომელსაც მნიშვნელოვანი მოწმე უნდა შეეხვედრებინა, იმის დასაზუსტებლად დაურეკა, საღამოს 8 საათისთვის დაგეგმილი აუდიენცია ხომ არ გადაიდო...

— კი ბატონო, მაგრამ მოწმე ცოცხალია...

— ზემოხსენებული ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ ამ მოწმის ვინაობას ვეღარასოდეს გავიგებთ, რადგან მხოლოდ იური ვაზაგაშვილმა იცოდა...

— ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ ამ მოწმის ვინაობა მისთვისაც ცნობილია. იურის ჩემი მეგობრები ძალიან ახლოს იცნობდნენ და, როგორც მათგან ვიცი, სიტუაციას

არ მალავდა, ანუ გამორიცხულია, რომ ამ მოწმის შესახებ არავინ არაფერი იცოდეს...

— თუკი მიზანი არც მოწმის მოცილება იყო, აბა, ვაზაგაშვილი რატომ მოკლეს?

— ვანო, გითხარით და კიდევ ვიმეორებ: ეს მკვლელობა პოლიტიკური ტერაქტია.

— ეს გავიგე, მაგრამ პოლიტიკური ტერორის სამიზნე მაინცდამაინც შვილმოკლული მამა რატომ გახდა?

— იური ვაზაგაშვილს ხალხი პატივს სცემდა და, როგორც ვიცი, მისმა რეიტინგმა სახიფათო ზღვარს მიაღწია.

— ანუ?

— მას წონა არასამთავრობო სექტორშიც ჰქონდა. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოყვანაში იური ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის მამის, ჯამბულ გამცემლიძის, გირგვლიანის ოჯახისა და სხვათა აქტიურობამ დიდი როლი ითამაშა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ის, რაც მოხდა, პოლიტიკურ შედეგზე გათვლილი აქტია.

— „პოლიტიკურ შედეგში“ რას გულისხმობთ?

— პოლიტიკურ შედეგს უცებ ვერ დავინახავთ...

სხვათა შორის, გამოძიება ცხელ კვალზე არ მოხდა...

— არ თუ ვერ მოხდა?

— უფრო ვერ მოხდა, რაც ან არაპროფესიონალიზმის, ან მიზანმიმართული ქმედების ან კიდევ იმის ბრალია, რომ ვაზაგაშვილის აფეთქება მკაცრი კონსპირაციის პირობებში, მაღალ დონეზე შესრულებული ტერაქტია!

— მსგავსი ტერაქტები ვისი ხელწერაა?

— სპეცსამსახურებისა და მათ მიერ სპეციალურად მომზადებული აგენტურის. საერთოდ, ასეთი მკვლელობებისკენ მიდრეკილება „გე-რე-უ“-ს აქვს.

ვანო, თუ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, აშშ-ის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებაზე ვისაუბრეთ, სადაც, ასევე, სასაფლაო ფიგურირებს. მაშინ ისიც გითხარით, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლებმა, როგორც ექსპერტს, ერთ-ერთი აუფეთქებელი ნაღმი მანახეს და საინტერესოა, ვაზაგაშვილიც ისეთივე ტიპის ნაღმით ხომ არ ააფეთქეს.

— დადგინდა, რომ აშშ-ის საელჩოსთან მომხდარი აფეთქების უკან „გე-რე-უ“ იდგა?

— „გე-რე-უ“-ს აგენტების მოწყობილის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ „ნაციონალებმა“ „კოჭოას“ და სხვებს აღიარებინეს, თუმცა მე თუ მკითხავთ, ბოლომდე გახსნილი არც ეგ საქმეა...

— ბატონო კოტე, რატომ ეჭვობთ, რომ პიროვნება, რომელმაც იური ვაზაგაშვილი ააფეთქა, საქართველოს დატოვებდა?

— მკვლელი საქართველოს ტერიტორიას მაშინ თუ არა, ცოტა ხნის მერე მაინც დატოვებდა...

— ასეთ შემთხვევებში, გამოძიება რითი იწყება?

— ნებისმიერი დანაშაულის დროს, გამოძიება შემთხვევის ადგილის დათვალიერებით იწყება, თუმცა შემთხვევის ადგილი მხოლოდ სასაფლაოს არ ნიშნავს. პანორამული, ანუ ერთკილომეტრიან რადიუსში მთელი პერიმეტრის დათვალიერება უნდა მომხდარიყო. ამასთან, ისეთი ობიექტებიც უნდა შემოწმებულიყო, საიდანაც შემთხვევის ადგილი კარგად ჩანს.

— ხელჩასაჭიდი რა შეიძლება გახდეს?

— ვთქვათ, ფეხის კვალი, სიგარეტის ნამწვი...

— სასაფლაოზე, როგორც წესი, უამრავი ადამიანი ირევა და, შესაბამისად, ფეხის კვალიც მრავლად იქნება და სიგარეტის ნამწვიც...

— კი ბატონო, მაგრამ ახლა მხოლოდ სასაფლაოზე არ ვლაპარაკობ... იმ პერიმეტრზე შეიძლება, მიტოვებული სახლიცაა. საერთოდ, ასეთი დანაშაულის დროს, დამნაშავეები ე.წ. სამეთვალყურეო სტაციონალურ პუნქტს არჩევენ, საიდანაც ვიზუალურ კონტროლს ანხორციელებენ... მოკლედ, ყველაფერი სპეცსამსახურების ხელწერაზე მიანიშნებს. ნაღმის დამონტაჟება ჩვეულებრივ დამნაშავეს არ შეუძლია და საამისოდ მას სპეციალური მომზადება უნდა ჰქონდეს გავლილი.

— მსგავსი ტერაქტების დროს კონტროლი იმიტომაა საჭირო, რომ შემსრულებელმა დამკვეთს სრული ინფორმაცია მიაწოდოს?

— კონტროლი იმისთვისაცაა საჭირო, რომ დამნაშავე დარწმუნდეს, კვალი ხომ არ დატოვა.

— ბატონო კონსტანტინე, ყველაფერი, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ თუნდაც სპეცსამსახურებს იური ვაზაგაშვილის აფეთქება სხვაგანაც შეეძლოთ. რატომ მაინცდამაინც სასაფლაო?

— იმიტომ, რომ ეს აღვირახსნილი, თავზეხელაღებული ვანდალური აქტია, რასაც თავისი პოლიტიკური ნიშანი აქვს, ანუ ხალხი უნდა გაღიზიანდეს და ქუჩაში გამოვიდეს.

— დღეს ხალხის ქუჩაში გამოყვანა, როგორც ამბობენ, ხელს „ნაციონალებს“ აძლევს. ამ კონტექსტში მიხეილ სააკაშვილის განცხადებაც საგულისხმოა, 2015 წელს საქართველოში დავბრუნდებიო...

— ამ ვერსიას არსებობის უფლება, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ყველაფერი იმ პოლიტიკური წრეებისგან მოდიოდეს, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის განზრახვა აქვთ. ასევე, იმ უცხო ქვეყნებისგან, რომელთაც საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲜᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შექმნა აწყობთ.

– ეს უცხო ქვეყანა რომელია?

– რა თქმა უნდა, – რუსეთი.

– ბატონო კონსტანტინე, მუდმივად ამტკიცებთ, რომ სააკაშვილი რუსული პროექტია...

– დიახ...

– ესე იგი, რა გამოდის? – კრემლი საქართველოში საკუთარი ძალაუფლების აღდგენას ცდილობს, თუმცა ამბობენ, რომ უკვე აღიდგინა... მოკლედ, რუსეთი, სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადება, იური ვაზაგაშვილის აფეთქება – ყველაფერი ეს ერთი კონტექსტია?

– ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, გამოვა, რომ ყველაფრის უკან მიშა დგას.

– ამერიკელებს საქართველოში არეულობა აწყობთ?

– არც ამერიკელებს აწყობთ და არც – ევროპელებს... საერთოდ, როცა დანაშაული ხდება, მაშინვე ჩნდება შეკითხვა: ვის აწყობდა? თუკი იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გაიხსნა, ბუნებრივია, გამოჩნდება, ვისაც აწყობდა, მაგრამ ახლა ყველა ნიშანი არსებობს, რომ სპეცსამსახურში ამ საქმის გამხსნელი კაციშვილი არაა.

– მაშასადამე, ალექსანდრე ჭიკაიძე ყველაფერ ამას მიხვდა და ამიტომ გადადგა?

– მიხვდა, ან მიახვედრეს.

– ვის უნდა მიეხვედრებინა, ბიძინა ივანიშვილს?

– აბა, სხვა ვის უნდა მიეხვედრებინა? ყველაფერი ეს, პირველ რიგში, მის იმიჯს ურტყამს – ადამიანს ივანიშვილთან შეხვედრიდან 3-4 დღის შემდეგ, ასეთი ვანდალური ფორმით კლავენ. იცით, ეს რას ნიშნავს?

– პოლიტიკური მკვლელობები, როგორც წესი, არ იხსნება...

– ვაზაგაშვილის საქმის გახსნა ძალიან რთულია, მაგრამ შეუძლებელი არაა...

– თქვენ რომ იყოთ, გამოძიებას საიდან დაიწყებდით?

– მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია ასაფეთქებელი საშუალების წარმომავლობა.

– ვთქვათ, დადგინდა, რომ ეს რუსული წარმოების ნაღმი იყო, ამით რა შეიცვლება? – რა, არ შეიძლება, რუსული ნაღმი ევროპის რომელიმე ქვეყანაში იყიდებოდეს?

– ასაფეთქებელი საშუალებები მაღაზიებში არ იყიდება. ნაღმის საზღვარზე შემოტანაც გამორიცხულია...

– შეიძლება, დილეტანტურ შეკითხვას ვსვამ, მაგრამ აფეთქებულ ნაღმზე ანაბეჭდები რჩება?

– როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი ანაბეჭდს დატოვებს?

ვანო, ედუარდ შევარდნაძეზე 1995 წლის ტერაქტის გამოძიება იცით, როგორ დაიწყეს?

– როგორ?

– პირველ რიგში, ნაღმის კლასიფიკაცია დადგინდა, ანუ მაშინ შევარდნაძე, სინამდვილეში, „მონ 100“, ანუ მიზანმიმართული მოქმედებების ნაღმით ააფეთქეს, მაგრამ გამოძიებამ საქმეში „მონ 90“, ასე ვთქვათ, გააჩინა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ გამოძიება იქით წაეყვანა, საითაც სურდა – მაშინ „მონ 90“ მხოლოდ უშიშროების ორგანოებს ჰქონდათ, „მონ 100“ კი, – თავდაცვის სამინისტროს. მოკლედ, დანაშავეს სწორედ ნაღმის კვალით მიაგნეს.

– ესე იგი, თვლით, რომ გამოძიება დღესაც ნაღმის კვალს უნდა ჩაეჭიდოს?

– დიახ, უნდა დადგინდეს, ანალოგიური ასაფეთქებელი საშუალება ჩვენს შეიარაღებულ ძალებში არსებობს თუ არა. თუ არსებობს, მაშინ გაირკვეს, თავდაცვის სამინისტროს გარეთ როგორ მოხვდა – ვინ ჩამოწერა, როგორც პოლიგონზე გამოყენებული და ასე შემდეგ. ყველაფერ ამის დადგენაში მთელი შსს უნდა ჩართულიყო...

– ოფიციალური ინფორმაციით, ჩაერთო კიდეც...

– კარგი, რა?! ვიცი, როგორც ჩაერთო!..

– ვიღაცამ, სოციალურ ქსელში დაწერა, ძაღლი მაინც არ ჰყავდათ, კვალს დროზე რომ დასდგომოდნენო?..

– სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ დანაშაულისთვის კვალიფიკაციის მინიჭებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – როგორც კი გამოჩნდა, რომ ეს პოლიტიკური ტერორის აქტი იყო, მაშინვე გამოძიებაში სპეცსამსახური უნდა ჩართულიყო.

– გამოძიება ჯერჯერობით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს...

– სწორედ ამიტომაა პროკურატურა დანაშავე...

– თუ შეცდომა პროკურატურამ დაუშვა, წესით, შს მინისტრი კი არა, მთავარი პროკურორი უნდა გადამდგარიყო.

– დიახ, მთავარი პროკურორი უნდა გადადგეს! გეტყვით, შსს-ს რა უნდა განეხორციელებინა: შეემოწმებინა სამხედრო ნაწილებში აღრიცხული ასაფეთქებელი საშუალებები სამხედრო კონტრდაზვერვისა და სამხედრო პოლიციის ჩართვით ასევე, დაედგინა, იმ დღეებში საზღვრები ვინ გადალახ-გადმოლახა და მათ შორის ხომ არ იყვნენ სამხედროები, რუსეთის მოქალაქეები და ასე შემდეგ. ამასთან, უნდა დადგენილიყო, ვინ, როდის და რისთვის დაურეკა იური ვაზაგაშვილს. ადგილობრივი მოსახლეობაც უნდა გამოკითხულიყო...

– გავრცელებული ინფორმაციით, 30 ადგილობრივი დაკითხეს... ისე, თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, ის, ვინც ვაზაგაშვილს ბოლოს დაურეკა, შესაძლოა, დამნაშავეების მეკავშირე იყოს?

– თეორიულად გამორიცხული არაფერია და ამით მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა მოხდა...

– მსგავს ტერაქტებში ახლობლები გარეულები არიან ხოლმე?

– შეიძლება, გარეული არ იყოს, მაგრამ ახლობლისგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღებაა შესაძლებელი!..

– ბატონო კონსტანტინე, წეღან აღნიშნეთ, რომ ვაზაგაშვილის აფეთქებასა და ირაკლი ალასანიას ბინაში ქურდის შესვლას შორის, შესაძლოა, კავშირი არსებობდეს. რას გულისხმობდით?

– ხელაღებით არაფერს ვამბობ, მაგრამ ხომ შეიძლება გაჩნდეს ვერსია, რომ ალასანიას ბინაშიც რამის დასადებად შევიდნენ, მაგრამ ხელი იმან შეუშალათ, რომ ოჯახის ერთ-ერთი წევრი შინ დაბრუნდა...

– ისე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მკვლელობები კიდევ მოხდება...

– პიროვნება, ვისაც ეს ინფორმაცია აქვს, სასწრაფოდ უნდა დაიკითხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დანაშაულის დაფარვა იქნება და მათ, ვინც მოსალოდნელ მკვლელობებზე რამე იციან, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ.

– ჭიკაიძის პასუხისმგებლობა გადადგომით შემოიფარგლება თუ ისიც უნდა ახსნას, ადამიანები, რომლებსაც იური ვაზაგაშვილი ასახელებდა, შსს-ში რატომ მუშაობდნენ?

– კარგად გამიგეთ: ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მხოლოდ ჭიკაიძეს კი არა, მთელ მთავრობას ეკისრება!

– იური ვაზაგაშვილის აფეთქება „ოცნებისთვის“ „გირგვლიანი 2“ ხომ არ გახდება?

– უკვე გამხდარია და ეგ არის! ვანო, რა, გგონიათ, რომ ეს საქმე უცებ გაიხსნება?

– გამოძიებაში, ვთქვათ, „ეფ-ბი-აი“ ხომ არ უნდა ჩაერთოს?

– გამოძიებაში უდიდესი მნიშვნელობა ცხელ კვალს აქვს და ახლა, „ეფ-ბი-აი“-ს კი არა, საქმის გახსნა იმასაც გაუჭირდება, ვინმე მარსიდან რომ ჩამოვიყვანოთ!

– ერთი სიტყვით, ქვეყანაში კრიმინალი კარგად კი არა, ძალიან კარგადაა, არა?

– დიახ, ასე გამოდის...

– წინა ინტერვიუში, ბატონო კოტე, სომხეთში გამართულ „ქურდულ სხადნიაკზე“ ვისაუბრეთ და მაშინ თქვით, რომ ქურდებმა საქართველოში სიტუაციის არევის დავალება მიიღეს. ვაზაგაშვილის აფეთქება ამ დავალების ნაწილი ხომ არაა?

– შეიძლება და ამის ნიშნებიც გამოჩნდება. ამიტომ ციხეების მართვა დღეს უმნიშვნელოვანესია და ძალოვანი უწყებები მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყვნენ...

ისე, ამ პოლიტიკურ ტერორში სიჩქარის მომენტებიც იკვეთება.

– სახელდობრ?

– ვფიქრობ, ვაზაგაშვილის ბოლო განცხადებებმა ტერაქტი დააჩქარა. საერთოდ, არ არსებობს დანაშაული, რომელიც კვალს არ ტოვებს. მთავარია, ძაფი სწორად „გამოიქაჩოს“...

– შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ გამოძიებამ 2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაციის დამგეგმავ-შემსრულებლებიდან ვინმე დაიჭიროს და თქვას, იური ვაზაგაშვილის აფეთქება გაიხსნაო?

– ამას საზოგადოების უმეტესობა არ დაიჯერებს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ პროკურატურამ არგუმენტირებული მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს და თუ ასე არ მოხდება, ყველაფერი შეიძლება, უკან მიუტრიალდეს.

– სხვათა შორის, აცხადებდით, 2015 წლის თებერვლიდან ქვეყანაში დიდი ამბები დაიწყებაო. ეს ინფორმაცია საიდან გქონდათ?

– ყველაფერი ხელისგულზე დევს...

– თქვენ თუ დაინახეთ, სპეცსამსახური რას აკეთებდა?

– კარგი, რა?! სპეცსამსახურში ისეთები არიან, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ, ტერორიზმი და კონტრდაზვერვა რა არის. სხვათა შორის, ამ უწყებაში სააკაშვილის საახლობლო ისევ მუშაობს, მაგალითად, ოთარ ქველიძის ახლობელი, ოთარ კუპრაშვილი კონტრდაზვერვის უფროსია. ქველიძე კი, მოგეხსენებათ, მიშას დაცვის უფროსი და ნდობით აღჭურვილი იყო... მირზოევი კი, რომელზეც ვაზაგაშვილი ლაპარაკობდა, კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე გახლდათ და შემთხვევის ადგილას, წესით, პირველი სწორედ ადგილობრივი კრიმინალური პოლიცია უნდა მისულიყო. როცა კრიმინალურ პოლიციაში ისეთი ხალხია, რომელსაც ვაზაგაშვილი გულზე არ ეხატებოდა, წარმოგიდგენიათ, როგორ საგამოძიებო მოქმედებებს ჩაატარებდა...

– ასეა თუ ისე, მიზანმა საშუალება გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, იური ვაზაგაშვილის აფეთქებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა გადაფარა, მაგალითად, ის, რომ სომხეთი საქართველოში 400-ზე მეტი ტაძრის სომხურად აღიარებას ითხოვს, თუმცა სომხეთის სამოციქულო ეკლესია განმარტავს, რომ ამ მოთხოვნის საქმის კურსში არაა...

– მდგომარეობა ყველა მიმართულებით იძაბება...

ვანო, ნუ გგონიათ, რომ რუსეთის ჩვენდამი მტრული დამოკიდებულება მხოლოდ პირდაპირი შეიარაღებული აგრესიაა. რუსულ სპეცსამსახურებს აგრესიისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის სხვადასხვა ფორმა აქვთ. მაგალითად, სტრატეგიული ობიექტების მითვისება, სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიურ და ძალოვან სექტორში თავიანთი აგენტურული ქსელის ამოქმედება. ვინც იცის, ქვეყანაში ოპერატიული ვითარება რას ნიშნავს, მიხვდება, თუ რაზე ვლაპარაკობ. ოპერატიული ვითარება რისკების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. როცა რისკები იცი, თავდაცვის მექანიზმებსაც შეიმუშავებ, მაგრამ ამ კუთხით სპეცსამსახური არც ადრე მუშაობდა და არც ახლა მუშაობს. ჩვენმა სპეცსამსახურმა, ელემენტარულად, უნდა იკითხოს, თუკი სომხური სამოციქულო ეკლესია ამბობს, რომ ზემოხსენებული მოთხოვნის შესახებ საქმის კურსში არაა, მაშინ მისი სახელით იუნესკო-ს ვინ მიმართავს? წესით, ჩვენს საპატრიარქოს სომხურ ეკლესიასთან კომუნიკაცია აქამდე უნდა დაემყარებინა და გაერკვია, რა ხდება... მოკლედ, ჩნდება შეკითხვა: ამ ეკლესიების მოთხოვნის უკან სხვა რამ ხომ არ დგას, მაგალითად, ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონებში უკმაყოფილების გამოწვევა...

– თუკი ყველაფერ ამის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან, ვაზაგაშვილის მკვლელობას და სომხური ეკლესიების მოთხოვნას ერთდროულად რატომ დაგეგმავდნენ? არეულობისთვის, რა, ერთი მოვლენა არაა საკმარისი?

– ყველა ბერკეტის ერთობლივი ამუშავება იმ შედეგს იძლევა, რომელიც რუსეთს უნდა!

– ყველაფერ ამის ბოლო რუსის ჯარის შემოსვლა იქნება?

– დღეს რუსეთის ჯარის შემოსვლა გამორიცხულია! რუსეთს ერთი მიზანი აქვს – საქართველოს ხელისუფლებაში თავისი ყურმოჭრილი მონების მოყვანის, რომლებიც მის ყველა სურვილს დააკმაყოფილებენ! მართალია, რუსულ ელემენტებს „ოცნებაც“ შეიცავს, მაგრამ „ოცნება“ რუსეთის ინტერესებს არ გაატარებს! არეულობა რომ დაიწყება, ახლადშექმნილი პოლიტიკური ჯგუფები და საზოგადოებისთვის ე.წ. ცნობადი სახეებიც გამოჩნდებიან, რომლებიც ახლა „მიყუჩებულნი“ არიან. ისინი შესაბამის დაფინანსებასაც მიიღებენ...

– ქვეყანაში „ბეზპრედელი“ დაიწყება?

– არა. უბრალოდ, პოლიტიკური დესტაბილიზაცია ხელისუფლებას აიძულებს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ხელისუფლება დღეს პარალიზებულია და ყველაფერი, რაც ხდება, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგაა მიმართული!

დღევანდელ ხელისუფლებას სამგვარი უნიათობა სჭირს: არაფრის ცოდნა, იმის ცუდად ცოდნა, რაც იცის და ცოდნა იმისი, რაც არ უნდა იცოდეს!

– ბატონო კოტე, ისეთი პირი უჩანს, რომ ჩრდილოელ დათვთან პირისპირ მარტო დავრჩებით – აშშ-ს ჩვენთვის არ სცალია...

– აშშ-მ უკვე მიანიშნა, რომ სირიაში, ე.წ. ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციას დაიწყებს. ვანო, ალბათ, გახსოვთ, „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის შემდეგ გითხარით, ეს ტრაგედია სახმელეთო ოპერაციის დაწყების საბაბი გახდებამეთქი და ჩემი პროგნოზი ახდა. ეს ოპერაცია ახალ თავსატეხს გაგვიჩენს, რადგან „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები, იძულებულნი გახდებიან, სამშობლოში, ამ შემთხვევაში, საქართველოში დაბრუნდნენ...

– ბოლოს, კოტე ბატონო, ორი დღეა, ქვეყანას შს ახალი მინისტრი ჰყავს. ვახტანგ გომელაურზე რას ფიქრობთ?

– სხვათა შორის, თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვთქვი, რომ ჭიკაიძეს ვახტანგ გომელაური შეცვლიდა და ეს პროგნოზიც ახდა... გომელაური პროფესიონალი და პატიოსანი კადრია...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

„ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲨᲡᲡ-Ს ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲔᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐ: ᲨᲔᲔᲛᲝ�წᲛᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲗ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲐᲔᲓᲒᲘᲜᲐ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮ-ᲒᲐᲓᲛᲝᲚᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ, ᲕᲘᲜ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐ ᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲐ�გᲐᲨᲕᲘᲚᲡ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲧᲝ...“

4

№ 4 (268)

28.I-3.II
იანვარი
2015

ეროვნული ერთიანობა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელმწიფეება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სტოპკადრი

„300 არაგველთან“ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ფილიალი გაიხსნა

მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის გადაკვეთაზე, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი გაიხსნა.

როგორც ბანკის ხელმძღვანელმა, ნატალია კვანტალიანმა „ჯი-ეიჩ-ენ“-ს განუცხადა, ბანკის ახალ ფილიალში მსურველებს სისხლის ჩაბარება საქართველოში ყველაზე მაღალი ანაზღაურებით შეეძლებათ.

ამასთან, ახალ ფილიალში სისხლის ყიდვაც იქნება შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ „300 არაგველთან“ გახსნილ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ფილიალში, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ცენტრალური ოფისისა და სხვა ფილიალების მსგავსად, დონაციის ნებისმიერ მსურველს სისხლის ანალიზი უფასოდ ჩაუტარდება

წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე გახსნილი „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ ფილიალი უანგარო დონორებსაც მოემსახურება.

აქვე, შეგახსენებთ, რომ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი“ საქართველოში ყველაზე ძველი და დიდი ტრადიციების მქონე ბანკია.

ილია მეორე: „ყველაფერს ვაკეთებთ, რომ საქართველო ევროპის სტრუქტურების წევრი გახდეს!“

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლიტვა აქტიურად დაგვიჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში“, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, საპატრიარქოში ლიტვის პრემიერ-მინისტრ ალგირდას ბუტკევიჩიუსთან შეხვედრაზე განაცხადა.

კათოლიკოს პატრიარქმა შეხვედრაზე ლიტვასა და საქართველოს შორის არსებულ ტრადიციულად მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს, რათა ეს ურთიერთობები გაძლიერდეს.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ საქართველო გახდეს ევროპის სტრუქტურების აქტიური წევრი. ამიტომ, თქვენი ვიზიტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გვაქვს ტერიტორიული პრობლემები. ეს არის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და იმ დროს ჩვენ პრობლემები და კონფლიქტები არ გვქონდა. ეს არის ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტები. ჩვენ არასდროს არ დავჯერდებით, ვიდრე ეს ტერიტორიები არ შემოვა საქართველოს იურისდიქციაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლიტვა აქტიურად მხარს დაგვიჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში“, – აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, ჩვენ კარგად ვიცნობთ ლიტვის კულტურას და ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისგან.

პატრიარქმა დასძინა, რომ საქართველო უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა, საქართველოს ეკლესია კი უძველესი ეკლესიაა მსოფლიოში.

პატრიარქი საუბრის ბოლოს კიდევ ერთხელ მიესალმა სტუმარს და აღნიშნა, რომ მოხარულია მასთან შეხვედრით.

თავის მხრივ ლიტვის პრემიერ-მინისტრმა, ალგირდას ბუტკევიჩიუსმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისთვის და დასძინა, რომ ეს მისთვის დიდი პატივია.

„მინდა, დაგეთანხმოთ და აღვნიშნო, რომ საქართველოსა და ლიტვას შორის ისტორიულად იყო და არის ახლო ურთიერთობა. ამ ვიზიტით კიდევ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს ურთიერთობები სამომავლოდაც იყოს კარგი“, – განაცხადა ლიტვის პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და ლიტვას შორის ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების დოკუმენტს მოეწერება ხელი. ბუტკევიჩიუსმა დასძინა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ჰქონდა შეხვედრა, სადაც ეკონომიკურ ურთიერთობებზე იმსჯელეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი განიხილეს.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისში 49 წლის მამაკაცმა 34 წლის ახალგაზრდა დაჭრა

სამართალდამცავებმა 49 წლის დავით კ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ცაბაძისა და უზნაძის ქუჩების კვეთაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1981 წელს დაბადებული დავით მ. დანით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში ცაბაძის ქუჩაზე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა - ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

ვახტანგ გომელაური: „ვეცდები, ხალხის იმედი გავამართლო!“

საქართველოს შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორც ვახტანგ გომელაურმა შს მინისტრის პოსტზე წარდგენისას განაცხადა, ეცდება, გაამართლოს პრემიერის ნდობა და ხალხის იმედი.

„ჩემთვის უცხო არ არის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ჩემი 20-წლიანი სტაჟის ნახევარზე მეტს შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობა ითვლის. ამ ორი წლის განმავლობაში, მომიწია სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელობა, მათთან მუშაობა. ვეცდები, ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც საჭირო იქნება და თქვენი იმედები გავამართლო“, – განაცხადა გომელაურმა.

შეკითხვაზე, იგეგმება თუ არა საკადრო ცვლილებები და ვინ იქნება შს მინისტრის პირველი მოადგილე, ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ ამ საკითხებს განიხილავენ და ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

საქართველოს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი შსს-ში 2013 წლიდან მუშაობს: ჯერ შს მინისტრის მოადგილის, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კი, პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობამდე გომელაური ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი იყო, დაცვის პოლიციაში კი, 2002 წლიდან მუშაობდა.

შს მინისტრის პოსტზე ვახტანგ გომელაურმა ალექსანდრე ჭიკაიძე შეცვალა, რომელმაც თანამდებობა რამდენიმე დღის წინ, საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი მარგველაშვილმა უკრაინელ კოლეგას სამძიმრის წერილი გაუგზავნა

საქართველოს პრეზიდენტმა მწუხარება გამოხატა მარიუპოლში მომხდარი ტერაქტის გამო და უკრაინელ კოლეგას სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

„ღრმა მწუხარებასა და გულისტკივილს გამოვთქვამ უკრაინის ქალაქ მარიუპოლში განხორციელებული ტერაქტის გამო, რომელსაც უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე შეეწირა. თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე, თუნდაც ომის პირობებში, წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს და ის არ უნდა დარჩეს საერთაშორისო რეაგირების გარეშე.

საქართველო კვლავ ადასტურებს მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და იმედოვნებს, რომ უკრაინა გადალახავს მის წინაშე არსებულ სირთულეებს.

გთხოვთ, ქართველი ხალხისა და ჩემი სახელით სამძიმარი გადასცეთ დაღუპულ ოჯახებსა და მათ ახლობლებს“, – აღნიშნულია წერილში.

„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

თეთრი სახლის ეზოში უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვარდა

აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა, რომელიც ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს იცავს, დაადასტურა, რომ თეთრი სახლის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატი დააფიქსირეს. ამის შესახებ ამერიკული სპეცსამსახურის განცხადებაშია აღნიშნული.

„ჩვენმა ერთმა ოფიცერმა გამთენიისას დაინახა, როგორ გადაუფრინა ტერიტორიას ერთი მეტრი სიგრძის აპარატმა და დაიმსხვრა თეთრი სახლის კომპლექსის ტერიტორიაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით. თეთრი სახლის შესასვლელი მომენტალურად დაიხურა იმ დრომდე, ვიდრე მოწყობილობა სრულად არ იყო შესწავლილი და ლიკვიდირებული“, – აღნიშნულია კომუნიკეში.

სპეცსამსახურში განაცხადეს, რომ მიმდინარეობს გამოძიება და ეჭვმიტანილთა ძებნა მათი მოტივების დასადგენად.

„ინტერპრესნიუსი“

ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრის მშენებლობის ადგილი გასაიდუმლოებულია

როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის მშენებლობის პროცესი ღია ინფორმაცია არაა.

„სად, რა ფორმითა და კონსტრუქციით განთავსდება, ყველაფერი ეს საიდუმლო ინფორმაციას განეკუთვნება და ვერაფერს გეტყვით“, – აღნიშნა სესიაშვილმა.

29-30 იანვარს საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ ეწვევა, რომლის ვიზიტის პროგრამაშიც ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის მშენებლობის ადგილის დათვალიერებაც შედის.

„ინტერპრესნიუსი“

ᲮᲘᲠᲘᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

5

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲞᲐᲠᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ

I

დღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები.
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები.
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულმკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე, წყარო — ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაივსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ღალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთა
ვსუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით!

II

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად,
მუხა-იფნებით ფარული.
იქ ჰყრია დიდი ლოდები
შავფერი, ციხის-კარული,
ლიბო-დათხრილი კოშკები,
უმზეოდ ჩამოგვალული.
ბერი ტიროდა დიაცი,
ისმის ქვითინი ქალური.
რამდენი სიპები აწყვავ!
მოსჩანს აკლდამის პირები.
გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვევლად დავეღირები.
ეს ფშაველთ სალოცავია,
დღეს დღეობაა ამისა.
არ ვიცი, თვალი მატყუებს, —
მიშლის წყვდიადი ღამისა!
ხალხს ნუთუ დაჰვიწყებია
წმინდა გიორგი თავისა?!
ეს რაღაც ცუდს საქმეს ჰნიშნავს,
მომასწავებელს ავისა.
საჯარეს დიაცს რა უნდა?
არ თუ ეშინის დავისა?
მარტოს აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდებია;
მარტოს დაუკლავ საკლავი,
თვითონვე უტყავებია;
მარტოდ-მარტოკას დიაცსა
ხატ-ღმერთი უხსენებია!
აქ არც ხევისბრის ხმა ისმის,
არსად ფშაური ღრეობა.
ვინ გიჟი იტყვის იმასა,
რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!
ბრალადა ბუუტავს სანთელი,
ცრემლი წინ უდგა გუბედა.
მტრისამც დედასა გველი ჰკბენს
და ჩაუძვრება უბედა, —
გმირთა აღმზრდელთა ძუძუებს
გაიხდის თავის ბუდედა!

III

უცბად გაისმა ფეხის ხმა,
კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი, უშნო რამ.
სანთლისა შუქზე წამოდგა
დატანჯულისა ფერითა,
მხარზე თოფ-გადაგდებული,
გაბუდებულის წვერითა,
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა.
ადვილად საცნობი იყო
კაცი ფშაურის ერითა.
დადგა, დაეყრდნო თოფის ტუჩს,
ცრემლებს იწმენდდა ხელითა,
იზიარებდა ბებრის დარდს
სახის შეჭმუხვნით ხმელითა.
თავის დარდებში გართული
დიაცი მიჰხვდა ვერასა,
ტიროდა, ემდურებოდა
ხოშარელთ ბედისწერასა.
გულს იმჯიღავდა, ჰკითხავდა
ნანგრევებს ცრემლის დენითა:
“სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
ან მიწა რად არა ძღება
დამდნარის გულის წვენითა?!
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მაგივრად დედებსა
ძუძუს გვიწოვდეს გველები?!
როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ ჩვენივე წელები,
ცეცხლები გვერტყას ათასი,
გულის, გონების მწველები?!
ვაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გვყავს
ამ ფშავის ხევის მცველები!”
დიდხანს უცქირა უცნობმა
მოხუცის მოთქმას მწარესა;
მიჰხვდა, რომ უბედურება
სწვევია ფშავის არესა.
ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
უცნობი უცნობს დიაცსა:
მგ ზავრი
ვინა ხარ, ნეტარ, დედილო?
ვისას რა მოსთქვამ ზიანსა? —
ვერ გაიგონა ნათქვამი,
ისევ ზარს ამბობს ხმიანსა
— შენ გეკითხები, დედაო,
რად ჰსვამ ბალღამით ფიალსა?
სანათა (ბებერი)
მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ
კაცი ვიხილე თვალითა. —
ადგა და ჯოხზე დაეყრდნო
ხანხალით, ძალის-ძალითა. —
— მოხვედი, შვილო, მშვიდობით,
შვილო, წყალობა ხატისა!
აღარ მეგონა, თუ მამრი
კიდევ მიწაზე დადისა
მგ ზავრი
შენიმცა მწყალობელია,
შენთა შვილთა და ქმარისა.
ერთს გკითხავ, დედა-შვილობას,
მითხარ პასუხი ამისა;
დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
საქმე აკეთო მამრისა?
ვფიქრობ, დროება დამდგარა
იმ მეორ-მოსვლის წამისა.
ხომ არ აყრილან ფშაველნი,
ჩქამ რო არ ისმის ხალხისა?
როგორც მინახავ, არ არის
ლხინი კაცის და ქალისა.
შენობა მინდა გავიგო,
ვარ თქვენის მიწა-წყალისა.
სანათა
ჩემ რა იკითხვის, დედილას,
უკლოსი, ბედით შავისა,
დავკარგე ყველა თვის-ტომი,
ვინაც-კი მყვანდა თავისა
წარღვნა დაგვეცა ხოშარელთ
წყეულის თათრის ჯარისა,
მამრთა შეაკლეს მტერს თავი,
ხსენება გასწყდა კაცისა.
გასუქდა ხოშარის გორი
სამარეებით ხშირითა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
დახოცილებსა ვსტირითა.
ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა,
ბალღებიც ატირდებიან;
გლოვის მიზეზსა გვკითხავენ,
დედებს რო გვაკვირდებიან;
არ მიიღებენ პასუხსა,
უფრორე აყვირდებიან;
ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა,
რძისთვინ რო აბირდებიან!
რად გვინდა დედებს შვილები?
რაზე ვსწვალდებით, ნეტავი?
გაჰზდი, გალაღებს ვაჟკაცი,
ლამაზი, გორის მდრეკავი.
გალაღებს, მაგრამ ტყუილად:
დღეს მთელი, ხვალე მკვდარია;
მოვა, წაიღებს უეცრად
სისხლისა ნიავ-ღვარია!
პირსისხლიანის მსინჯველი
შვილის, დუშმანიმც არია!
სანათაი ვარ მე, შვილო,
აფხუშოური ქალია,
აქა ვარ გამოთხოვილი,
ბერიძე მყვანდა ქმარია.
შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის გორზედ დავმარხენ,
თავზე დასტირის ქარია.
ორს კვირას საფლავებ ვსთხარე,
იმათ თავშესაფარია. —
რა ეს სთქვა, ამოქვითინდა,
ღვარა ცრემლები მწარია. —
ჩემს ქმარ-შვილებთან ბევრს სხვასა
გამოეჯარა კარია.
ვინ ემსახუროს, მაშ, ხატსა?
მაშ ვინ აუნთოს სანთელი?
მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი?
ვინ მოაკმიოს საკმელი?!
უკაცურთ კაცობა გვმართებს,
მანამ სული გვჩრავ პირშია.
ხატიც შაგვინდობს ცოდვასა,
რო გვნახავს გასაჭირშია.
ეხლა ის მითხარ, დედილას,
სადაური ხარ, ვისია?
იქნება ჩვენობა გეთქმის,
იქნება იყო სხვისია?
მგ ზავრი
დედაო, დედა-შვილობამ,
მეც ბევრი ვნახე ჭირია.
ოცს წელს სრულ სხვის შვილადა ვარ,
სამშობლო გამიწირია,
მათურელი ვარ ძირადა,
სახელად მქვიან კვირია,
ჩემფერა უკეთურები
ყუნჭებიც ბევრი ჰხირია.
ფშავს უბინადროდ რჩენილი,
წაველ საძებრად ბედისა, —
ვაჰ, მოგონება ჩემის დღის
დამსხმელი არი რეტისა!
მზიდველი არი ეს ქედი
ტანჯვისა მეტის-მეტისა.
ჩემი ამბავი შორს წავა,
მოკლედ რო მოვსჭრა სჯობია:
ვინ არ გეტყოდა ჩემს ამბავს,
ვინაც-კი ჩემი მცნობია;
ობლობის, ბეჩაობისა
დღესაც ზედ მაძე ობია.
სად სიცივეში ვგდებულვარ,
ორ-კვირაობით მშიერი, —
არც ისე დროულიცა ვარ,
უცხოს ვგონივარ ხნიერი
ოცი წელია მწყემსად ვარ, —
თუშეთს, უცხოსა მხარესა, —
და ფშავის ხევის სტუმარსა
მარტო ვხედავდი მთვარესა.
საბაროდ გადმამავალთა
ამბავს ვკითხავდი წეროთა, —
რა წერილობას გაგვიწევს,
თოვლზე ამბავი ვწეროთა?
ოცს წელს მიწა მაქვ ლოგინად,
ცა მახურია საბნადა;
ავდარში შავი ნისლები
ტანზე მეხვევა ნაბდადა.
სანათა
მიკვირს, ან ახლა რო მოხვალ,
ოცს წელს ნამყოფი სხვაგანა?
მგ ზავრი
საქმე გაჭირდა, დედილო,
ურჯულო თათრებისგანა:
დათარეშობენ კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა;
საცა ჰსურთ, ყურძენსა სჭამენ,
საცა — ჭანჭურს და ქლიავსა,
აწიოკებენ ქალ-რძალსა,
ნამუსსა ჰხდიან ძალადა.
ჰკრეფავენ ურჯულოები
სილამაზესა ლაღადა.
არა ჰზოგავენ, დედილამ,
ვინც-კი მაუათ თვალადა.
მთელი კახეთი ქცეულა
ჩიქილა-მოხდილ ქალადა.
არა სჩანს ხელის შამქცევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შამყრელი
და წინ გამძღოლი ჯარისა.
იქ, ჩვენთანამდიც მოდიან,
ცხვარსა ფარობით გვტაცებენ.
არვინ გადურჩათ რჯულ-ძალთა,
ყველას ბეგარას ადებენ.
ვისაც ჰკვლენ გზა-გზის პირებზე,
თავებს მარგილზე აგებენ.
შადიან სხვისა სახლშია,
კარს უკრძალავად აღებენ.
დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია.
პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვაი საოცარია.
სუყველამ ტანზე აისხა
აბჯარი საომარია.
მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს მზირადა
და დამაბარეს ხვეწნითა
სიტყვა, სათქმელი პირადა:
„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
სისხლით, ხორცით და რჯულითა.
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
გაუტეხელნო გულითა.
უბაროდ, განა არ იცით,
მთანიც რო ვერა გვარობენ.
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხარობენ.
ჩვენის საყდრების ტრაპეზთან
ეხლა მოლები გალობენ.
ბევრია დაღონებული,
უთხარო: ბევრნი წვალობენ!“
მახსონდა, ამ დღეს ხოშარელთ
აქ გექნებოდათ ხატობა;
ვიცოდი, ეწყინებოდათ
კახეთის რბევის შატყობა.
ღმერთმა აცხონოს ისინი,
ჩვენც იმათ მივდევთ კვალზედა.
იქნება ამ ორ კვირაზე
შავხვდე შავეთის კარზედა.
მანამ ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.
როცა დრო მოვა და გაქრეს
ბედის ვარსკვლავი ცაზედა!
ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა.
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები, —
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები.
დედა-შვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმა აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები.



ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲕᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝ

(ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ)

ᲔᲠᲚᲝᲛ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ

მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი აღარ არის, არავინ მიყვება ტკბილ ქართულ ზღაპრებს. ამიტომ მე, უკვე რამდენი წელია, ძილისწინა ოცნებითა და წარმოდგენებით ვინაზღაურებ ამ დანაკლისს. გავა დრო და დღისაგან გამოყოფილ ფიქრებში ჩამეძინება.

●

ერთხელ, გვიან დავბრუნდი შინ. ჩავწექი ჩემს საწოლში. ვერ იქნა და ვერ დავიძინე. იმდენად ძლიერი იყო სურვილი დაძინებისა, როცა ჩავთვლიმე, იმწამსვე გამომაღვიძა სიხარულმა, რომ ჩავთვლიმე. რა ხერხს არ მივმართე, რა ღონე არ ვიხმარე. ათჯერ დავითვალე ათასამდე. თვალიც დავხუჭე, ვითომ მძინავს-მეთქი, მაგრამ ვის ვატყუებდი, საკუთარ თავს? შემეშინდა, ვაითუ არასოდეს აღარ დამეძინოს-მეთქი. რაღა ბევრი გავაგრძელო, ძილზე ხელი ჩავიქნიე და თავი მივეც ოცნებას, მაგრამ ოცნებაც არანაკლებ ჯიუტი აღმოჩნდა – არ იქნა და არ მეოცნებებოდა. მაშინ კი, სასოწარკვეთაში ჩავვარდი. მან ხელგაშლილად მიმიღო. ვიჯექ სასოწარკვეთაში, როგორც მგლისათვის გათხრილ ბნელ ორმოში და ვეღოდებოდი მგელს. მგელი, სამწუხაროდ, სასოწარკვეთაში არ ჩამოვარდნილა და მე, ღამის სიჩუმეში მოწყენილს, კვლავ არ მეოცნებებოდა და კვლავ არ მეძინებოდა.

უცებ, ქუჩიდან გვიანი მგზავრის ნაბიჯის ხმა მომესმა ფილაქანზე. ჩაიარა ჩემი ფანჯრის წინ და სადღაც შორს მიილია.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ გონებაში გრძელდებოდა ნაბიჯების ხმის რიტმი: მინდოდა, დიდხანს მსმენოდა ეს ხმა, რათა სიჩუმიდან სულ უმნიშვნელო ხმაური გამომეტანა და როგორმე ამეწყო ჩემი ოცნება.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

შემდეგ, შორიდან მატარებლის გაბმული კივილი გაისმა. წარმოვიდგინე მატარებელი, წარმოვიდგინე მისი ანთებული ფანჯრები ღამეში და თუნდაც ერთი მგზავრი, მდგარი ფანჯარასთან. აქ კი ნელ-ნელა ამოძრავდა ჩემი ფანტაზია. ნელ-ნელა დაიძრა იგი, ახმაურდა და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი უცებ წარმოდგენების უზარმაზარი ტალღის წინაშე.

„უამრავი ადამიანია ქვეყნად! – წამოვიძახე გულში, თითქოს რაღაც ახალი აღმოვაჩინე, – რას აკეთებენ ახლა ისინი? ვინ იცის, რამდენს არ ეძინება ჩემსავით ახლა“.

შემდეგ, უფრო მხიარული აზრი მომივიდა: „რამდენი ამ წუთას იცინის, კვდება სიცილით“, – და მეც ხმამაღლა გავიცინე, მაგრამ მე ისევ ბავშვი არ ვიყავი, რომ ჩემი წარმოდგენები მხოლოდ სიხარულის ხმებზე ამეწყო: „უამრავი ადამიანია ქვეყნად და ვინ იცის, რამდენს ჭმუნვა და დარდი შეჰპარვია ახლა გულში“. წამით შევჩერდი მათთან თანაგრძნობით თავდახრილი და შემდეგ კვლავ მივუშვი ჩემი ფერადი ეტლი. „უამრავი ადამიანია ქვეყნად“... და მე ამ ქროლვაში უხვად ვფლანგავდი ვარაუდებს: „ერთი იცინის, მეორე ტირის, მესამე მეოთხეს ესაუბრება, მეხუთე დგას, მეექვსე წევს, მეშვიდე ნახევრად წამოწოლილია, მერვე თავის ბაღში ყვავილებს რწყავს, მეცხრე ვარსკვლავებს ითვლის...“

მიმაქროლებდა იმ ღამით ჩემი წარმოდგენების ეტლი და თვალწინ სულ ახალი და ახალი სურათები ჩნდებოდა.

„სადღაც ახლა საღამოა. მზე ჩადის ნელა. ვიღაც გასცქერის, თუ როგორ აქსოვს ჩამავალი მზე ცისკიდურს სევდასა და სიხარულს. სადღაც კი ამოდის იგივე მზე და ახალი იმედით ანთებს აღმოსავლეთს...“

სულ ამიფორიაქდა გონება. ჩემს არსებაში რაღაც ძლიერმა განცდამ ჩაიბუდა. ჩემ წინაშე ამოძრავდა უცნაური და თვალუწვდენელი სურათი ცხოვრებისა, სადაც ადამიანებს უყვართ და სძულთ ერთმანეთი, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს – მაღალ მთებში, თვალუწვდენელ ველებზე, მდინარის მყუდროდ ჩაბურულ ნაპირებთან, უზარმაზარ ხმაურა ქალაქებში.

და ეს ხომ მხოლოდ ერთი წამია – ასეთი მდიდარი, ასეთი უსასრულო! ეს ერთი წამია შეზავებული და შეფერილი ცრემლითა და ალერსით, დარდითა და სიხარულით, ვნებებითა და გულგრილობით, შეხვედრებითა და განშორებებით.

ერთი წამია!

დავიღალე თუ მივნებდი ჩემი წარმოდგენების ხილვას, თვალი დავხუჭე, დავხუჭე თვალი, რათა კიდევ უფრო თვალნათლივ დამენახა ყოველივე, რაც იყო ირგვლივ. მინდოდა, მკლავები შემომეხვია, მინდოდა, რამე ამეღო იმ სივრცეებიდან და ხელს ვიშვერდი წინ თოთო ბავშვივით.

...და როგორც მოვიდა, ისევ უცებ გაქრა ყველაფერი. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სურვილი, გამომეტანა რამე იმ წარმოდგენებიდან, რომ, როცა თვალები გავახილე, დავინახე უცნაური სამყარო, როგორც საჩუქარი ჩემი იმღამინდელი ოცნებისა. ყველაფერი იყო ამ პატარა სამყაროში: იყო მთები, ველებიც იყო, მდინარეებიც, ცაც იყო და მიწაც, მზეც და მთვარეც, ვარსკვლავებიც.

იყო ვანო და ნიკოც იყო.

●

მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი მოკვდა, არავინ აღარ მიყვება უჩვეულო ამბებს. ამიტომ ძილის წინ ოცნებებითა და წარმოდგენებით ვირთობ თავს. დრო მოვა და დღისაგან გამოყოფილ ფიქრებში ჩამეძინება. ჯერჯერობით კი ყოველღამე უცნაური სამყარო მიდგას თვალწინ, სადაც ვანო და ნიკო ხვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს, სადაც ტირიან და იცინიან ისინი.

ერთხელ...

ერთხელ ვანო ჩვეულებრივზე გვიან ადგა. ჩვეულებრივზე ჩქარა ჩაიცვა ტანთ, ჩვეულებრივზე ჩქარა ისაუზმა, რათა თავის დროზე მისულიყო სამსახურში. ქუჩაში გავიდა თუ არა, შეხვდა ნიკო.

– გამარჯობა! – მიესალმა ნიკო.

– გაგიმარჯოს! – უპასუხა ვანომ და ჩვეულებრივზე ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა ნიკოს, რათა თავის დროზე მისულიყო სამსახურში.

როდესაც ვანო სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ნიკომ გაუღიმა ვანოს. ვანომ ღიმილითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანო შინ მივიდა, ნახა, რომ კარადაში პური არ იყო. პურის მაღაზიაში რომ მიდიოდა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ნიკომ მოიკითხა ვანო. ვანომ მოკითხვითვე უპასუხა და ორივენი თავისი გზით წავიდნენ.

როდესაც ვანო პურის მაღაზიიდან ბრუნდებოდა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს, და ნიკომ ჰკითხა ვანოს:

– პური მიგვაქვს შინ?

– ჰო, – უპასუხა ვანომ და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანომ ისადილა, გაახსენდა, რომ კბილი უნდა ამოეღო. შინიდან გავიდა თუ არა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ნიკომ თვალი აარიდა ვანოს. ვანომ თვალის არიდებითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანომ კბილი ამოიძრო და გაბრაზებული ბრუნდებოდა შინ, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ვანომ ბრაზით შეხედა ნიკოს. ნიკომ ბრაზითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანო შინ მივიდა, გაახსენდა, რომ ნოტარიუსთან უნდა მისულიყო, საქმე ჰქონდა. შინიდან გამოვიდა თუ არა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, დღეს დილას რომ მიესალმნენ ერთმანეთს და ნიკომ შეუბღვირა ვანოს. ვანომაც შეუბღვირა და ორივენი თავისი გზით წავიდნენ.

როდესაც ვანო ნოტარიუსთან მივიდა, საქმე ვერ გააკეთა და ლანძღვა-გინებით წამოვიდა შინ, გზაში ნიკო შეხვდა. ორივეს გაახსენდა, დღეს დილას რომ მიესალმნენ ერთმანეთს და ვანომ გაარტყა ნიკოს, ნიკომ გარტყმითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

ორივე შინ მივიდა. ორივემ თითო-თითო ჭიქა გადაჰკრა. ორივე ტახტზე წამოწვა და ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ორივე ქუჩაში გამოვიდა, რათა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ვანომ ეძება ნიკო და, ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა.

ნიკომაც ეძება ვანო და, ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა.

– ღამე მშვიდობისა! – დაემშვიდობა ვანო ნიკოს.

– ღამე მშვიდობისა! – ნიკოც დაემშვიდობა ვანოს და ორივენი თავისი გზით წავიდნენ.

იმ დღეს ვანო და ნიკო ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, მხოლოდ სიზმარში ორივემ ერთმანეთი თითოჯერ ნახა...

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

უფლის პოეზია

მიტროპოლიტი ანანია (მესხიძე)

ციდან უფლის წყალობა მალე მოგვევლინება

თუ კეთილნი ვიქნებით, თუ განგებამ ინება,
უფლის მადლი, წყალობა მზეებრ მოგვეფინება, —
სხეულს ტანჯვა მოელის და სულს კი გაბრწყინება,
ქება ქვეყნის გამჩენის ნუღარ მოგვეწყინება.
მივუტევოთ ერთმანეთს გულის ტკენა, წყინება,
გაზაფხულის ძალას ჰგავს სულის აღორძინება.
გაჰკვეთს რკინა-კლდეებსაც ჩვენი გულმოდგინება —
ავიტანოთ უფლისთვის ტანჯვა, დევნა, გინება,
სიმართლისთვის წამებულთ ელით შვება, ლხინება...
გზა-ბილიკებს ავიფრენთ, თუმც ჩანს მთაგრეხილებად,
სულის თვალი მარადზე როცა აგვეხილება,
კარგზე ქება მოგველის და ცოდვისთვის მხილება,
ყველაფერი გამოჩნდეს — ფიქრიც განიხილება...
ვიდრე ცის გზებს გაივლის, სული შიშით ილევა,
ღმერთმა კარი გვიჩვენა — წმინდანთ გამოცდილება.

● ● ●

ღმერთო, ამანთე წმინდა კელაპტრად,
მანათებინე ღამე უკუნი...
დიდი სიცოცხლის მზე მომენატრა
საუკუნეთა უტყვი გუგუნით;
მოჯარებულან წმინდა ლანდები...
არა ლანდები — ნათლის სვეტები...
ჩვენი დანახვის მოიმედენი.

● ● ●

მაქვს იმედი უფლისა...
ვერც ვინ ვერ მომიშალოს,
ვერც ბოროტმა დამძლიოს,
ვერც სიკვდილმა მიშაროს.
მოლოდინმა ავისა
თრთოლვად ვერ ამიტანოს,
არცა ზარი ზვავისა
სალ კლდეს ვგავდე, პიტალოს:
სვეტიცხოველს ააგებს
კურთხეული მარჯვენა,
სიხარულის ყვავილი
ისევ დაიმარჯნება.
მიწის ჭუჭყი, ზვაობა,
ისევ მიწას დარჩება,
რწმენა განა დაგვაგდებს
უიმედო ლაჩრებად?!

● ● ●

შენი შვილი ვარ, საწყალი,
ამ ცრუ სოფელში მყოფელი,
შენ დაგვიფარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
მე შენ მიყვარდი, ღირს ვიყო
სხვა მარგალიტის მფლობელი,
შენ გაგვახარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
ვინ შეძლებს, ღირსად გადიდოს,
თქვას ღირსი სამადლობელი?
შენ შეგვიწყალე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
არ იკარგება სანთელი,
არც — საკმელ-საგალობელი,
მადლო მოგვფინე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

ყველა მოწყალეს...

ღმერთმა დაგლოცოს, კეთილო,
ღვთიური მადლის მთესავო,
ეგ მოწყალება დაგიხსნის
დიდი განკითხვის დღესაო.
ვაქებდეთ სამყაროს გამჩენს —
მბრწყინავ სიმართლის მზესაო,
ვინაც დაბადა ქართველი
და ჩვენი სანათესაო.
თუმცა დღეს წამებულნი ვართ,
ნუ უხარია მტერსაო,
მოგხედავს ქვეყნის გამჩენი,
ვერ შეგიცვლიან ფერსაო.
ვადიდოთ ჯვარი და ხატი,
ვიფიქროთ ერთურთზედაო,
ვინც აქ სიკეთეს დათესავს,
იქ გაუნათდეს მზედაო.
სამშობლოს მომავლის აღზრდა
გვერჩიოს ყველაფერსაო.

შენ, საქართველოვ, ლომგულო!

მამულო, შენ გიგალობენ
ცისა და ქვეყნის ზარები,
უნდა გავეფხვდე, გალომდე,
მტერს დაუყენო თვალები;
მტრის წამლეკ ცეცხლად აქციო
ერთგულ მოყმეთა ძალები,
უნდა განახლდე, ამაღლდე
ღვთიური ფერისცვალებით;
შენ, საქართველოვ, ლომგულო,
ღვთის ნათლულს გეძახიანო,
წმინდა გიორგი წინ გიძღვის,
მტერი მან გაგინიავოს...
დაჩოქებული ვერ გნახო, —
ღვთის ძალით იმედიანო,
სიმღერას გამარჯვებისას
არწივნი დაგყივიანო.

იკორთა

შენს ჩუქურთმოვან სიმყუდროვეში
ლოცვა გაისმის დიდი წინაპრის,'
კვლავაც იბრწყინებ ძველი დიდებით,
პირველქმნილობით ვითარ ბრწყინავდი.
ცად აღწევნილო უფლის ტაძარო,
ფერით მზიურო მწიფე ყანისა,
სული რომ სევდით არ დაიბზაროს,
მადლო მოგვფინე ოქროს ხანისა.

რწმენის ცეცხლით განათებული მეუფე

წავიდა ჩვენგან იქ, მარადიულში შესანიშნავი პოეტი და მამულიშვილი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი. ჭეშმარიტების გზით ვიდოდა და გზას უნათებდა რწმენის ცეცხლი. ჩემო მეგობარო მირიან, შენი ლექსი გამახსენდა:

„იკურთხოს შენი ცა-მიწა,
ყველა — ყვავილი, ყველა — ხე,
ცრემლი გაშოროს უფალმა,
სულ სიხარულში მენახე“.
მე კი, ცრემლი მდის შენი წასვლის გამო.
„ქართული სიტყვა“ კვლავაც გეხმიანება და შენს ლექსებს ბეჭდავს.
შენ არასოდეს დაგვავიწყდები!

ჯანსულ ჩარკვიანი

● ● ●

სამშობლო, სამშობლო გახსოვდეთ,
სამშობლო გიყვარდეთ მარადის,
მის გულში მზის სხივებს აქსოვდეთ,
უმისოდ სიცოცხლე არა ღირს.
ვინც მისთვის ღამეებს ათენებს,
მამულს ეგულება ფარად ის...
გვახსოვდეს სამშობლო ქართველებს,
სამშობლო გვახსოვდეს მარადის!..

მამულო!

სხვა ზედაშე შენზე წმიდა
ქვეყანად მე არ მეგულება,
შენი ქვევრის ღვინო მინდა.
შენთვის სისხლით ერთგულება.
შენთვის მოვკვდე, სხვა რა მინდა,
ვერ გამოთქვამს ენა მწირი,
ვიყო შენი ზვარაკი და
ცრემლი წმინდად შესაწირი.
ვაზო, მარად მსხმოიარევ,
ვით სამოთხევ, ტკბილო არე,
რაღად მინდა თავი ჩემი,
შენ თუ ვეღარ მოგიარე.
ცისკრის ფრთენი ფერად ფერებს
აბრეშუმად მოგაფენენ,
მკვდრად სჯობს ყოფნა,
როგორც დედას,
თუკი ვეღარ მოგეფერე.
შენი ფესვი, უძლეველო,
მზის სიმღერად ცისკენ მიდის,
მადლი არსად დაგიკარგავს,
იბრძოდი თუ ყანას მკიდი.
უკვდავების გზასავალზე
ღვთის იმედით იარ... მიდი...

მამულო!

საქართველოვ, ჯვარს გაკრულო წარსულით, —
აწმყოშიაც ბევრი ტანჯვა გინახავს,
მაგრამ მაინც არ დაცემულხარ სულით,
ტანჯვა ძლიერ მკერდით გადაგილახავს!
გაგიზრდია ლომგულები ძლიერი,
ერთგულები შენი წმინდა მიწისა,
იდექ მარად გაუტეხელ იერით
მტკიცედ მპყრობი ღვთისთვის აღთქმულ ფიცისა.
მწარე ცრემლი სწვიმდა დედათ წამწამებს,
სისხლისმსმელთა ჯვარს გაცვეს და გაწამეს,
სასწაულით მუდამ გადარჩენილო,
შენ, ერთს, ღალატს, შენ ვერავინ დაგწამებს!
შენთა ძეთა რკენა, პირდაპირობა,
ცად განთქმული ზრდილობა და გმირობა და
მატიანეს მტკიცედ აღუბეჭდია...
რად გულს მიკლავს ქვეყნად შენი მწირობა,
აგიყვავდეს სამომავლო ფიქრები,
ღვთის წყალობით, მარად ხარ და იქნები!
ღმერთს მიენდე — არასდროს გიღალატებს,
წმინდა ფრთებით დაფარული იქნები...
ყოვლად მართალს უყვარს ყველა მართალი,
თვით ჯვარცმული ტაჯულთ შველად მზად არი,
შვებად მოგფენს გაზაფხულებს მარადისს,
რას დაგაკლებს ავდარი და ზამთარი?!
მოვა ჟამი ყოვლად სამართლიანი,
შენ იქნები ძლიერი და მთლიანი,
სიკეთით და მადლით გაუკვდავებულს,
ცა დაგფარავს ანგელოზის ფრთიანი!

ჩამოშუქდი, ნათელო!

ჩამოშუქდი, ნათელო,
ვრცელო, ყოვლის მომცველო,
თვალნი ცისკენ აღაპყრე,
წმინდა გულით მლოცველო.
შენი მტერი, იბერო,
ავმა ცელმა მოცელოს!

სამშობლოსადმი

დაე, შენ იყავ მიზეზი,
ჩემი სიმღერის, მამულო ტკბილო,
გრძნობები წმინდა, უფაქიზესი
ისევ და ისევ მსურს, გაგიმხილო.
ჩემს მკერდზე დაჰქრის ჩემი ოცნება,
ხან რომ თამამად ზეცის კარს აღებს,
ხა იაიებს ეალერსება,
ხანაც — ნაყოფით დატვირთულ ბაღებს.
ერთ და იმავ დროს, საოცარია,
ტყემალი თოვს და იწვის ატამი,
შენს მკერდს, ნოყიერს, ცისკრის ცვარიანს
ცისარტყელები ნაზად ხატავენ.
ვარ შენი მიწის ერთი სანთელი,
ციცინათელად მკერდს გეკონები.
მსურს, ჩუმად გითხრა ჩემი სათქმელი,
ნაკარნახევი გულის, გონების.
დავკონი კორდზე ამოსულ იას,
დავკოცნი ვარდებს, შროშანს, ზამბახებს
და ვით ქალწულის ღიმილი მორცხვი,
მათი შეხედვაც ამაცახცახებს.
ვივლი ამ გზაზე, მზისკენ რომ მიდის
და შევქმნი იმას, რასაც შევიძლებ...
და მეყვარება სიცოცხლე დიდი
და მეყვარება მუდამ შენი მზე!

გაზაფხული

აღმა მივდევ მაღალ მთებს,
არ მეშინის ქარისა,
სიხარული ამანთებს,
გადამაქცევს ხალისად.
აქ სულ ახლოს ცა მოჩანს,
ლურჯად ჩამომდნარი ცა,
ხევში ნისლი გამოჩნდა
თუ მანდილი ქალისა,
სიხარული ამანთებს,
გადამაქცევს ხალისად.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმინდესო ილია.
უწმინდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე!..
ქართვლის შვილად
მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი
მამულის მთებს ანათებს,
თქვენი სიბრძნით წერილი
მომავლის გზებს ანათებს!
წუთისოფლის სიმძიმე
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
...ხამდა ქება ციერთა
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა
თქვენი დიდი რწმენითა.

● ● ●

ჩემი ბალღობის სიხარულო,
ლხინო ქართულო,
მამულის სულო, სიყვარულო,
ცამდე განთქმულო.
ჩემო მიწაო, ჩემო ცაო,
სულ სალოცავო,
შენ სიხარულის ჟრუანტელო,
გასაოცარო.

● ● ●

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების —
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმპყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოვედ ამქვეყად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმანკო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

№ 4 (268)
28.I-3.II
იანვარი
2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲬᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲢᲐᲜᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

20 იანვარს, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში საკუთარი შვილის საფლავზე იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს. საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნულ ფაქტს „ქვეყნის მასშტაბის“ ტრაგედია უწოდა. ა.წ. უკვე ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ კი, საზოგადოებაში გავრცელებული არაერთგვაროვანი მოსაზრებების გამო, საკუთარი მორალური პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა და დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. როდის გაიხსნება იური ვაზაგაშვილის საქმე? – ამის თქმა დანამდვილებით არავის შეუძლია. სხვათა შორის, მართალია, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, მაგრამ მკვლელობის ოფიციალური ვერსია უცნობია... სოციალურ ქსელში ითქვა, რომ ის, რაც სოფელ ყარაფილაში მოხდა, რიტუალური მკვლელობაა... მაშ ასე, „ქართული სიტყვის“ დღევანდელი რესპონდენტები, გამომძიებლები და იურისტები კი არა, პარაფსიქოლოგები და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ იური ვაზაგაშვილი ადამიანების გარკვეული ჯგუფის მიერ, სასაფლაოზე ჩადენილი რიტუალური მკვლელობის მსხვერპლი გახდა.

„ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲔᲡ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔᲡ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲨᲐᲕᲘ ᲛᲐᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ...“

პარაფსიქოლოგი იანა აცხადებს, რომ ვაზაგაშვილი ადამიანების იმ ჯგუფმა მოკლა, რომლებსაც გარდაცვლილთან ადრე შეხება არ ჰქონია.

„ეს კაცი ცნობილი ადამიანი იყო, თუმცა ისინი, ვისაც მის მკვლელობაში ბრალი მიუძღვის, არ იცნობდნენ... ყველა მათგანი შავებით იყო შემოსილი და ზუსტად იცოდა, თუ რა უნდა ჩაედინა, მაგრამ არ იცოდნენ, ზიანი ვისთვის უნდა მიეყენებინათ... ამ რიტუალისთვის ისინი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ. ვფიქრობ, რომ გარდაცვლილი, შემთხვევითი მსხვერპლი გახდა. სავარაუდოდ. დიახ, საქმე რიტუალურ მკვლელობასთან გვაქვს“, – ამბობს იანა.

იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს, ვინ და რა მიზნით ჩადის რიტუალურ მკვლელობას, „ქართული სიტყვა“ ასტრო-ეზოთერული სკოლის დამფუძნებელ თორნიკე ბიძინაშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, მსხვერპლშეწირვა სატანური რიტუალების გაგრძელებაა, რომლითაც ბნელი ძალები იკვებებიან. ამასთან, რიტუალურ მკვლელობას ადამიანები გარკვეული მიზნის განსახორციელებლად ჩადიან, ანუ მათი გაგებით, თუ მსხვერპლს არ გაიღებენ, მათი სურვილი და მონდომება ფუჭი იქნება.

ბიძინაშვილი ამბობს, რომ ნებისმიერი მიმართულებით გაცემული ბოროტი ენერგია ადამიანს, ბუმერანგის პრინციპით, უკან უბრუნდება და სასტიკად ისჯება.

„მსხვერპლშეწირვა ჩვეულებრივი შავი მაგიაა, რომელსაც დემონურ ძალებთან პირდაპირი კავშირი აქვს. ეშმაკი გარკვეულ მსხვერპლს ითხოვს, რის გაღების შემდეგაც, ადამიანები, ძალაუნებურად, შავ მაგიაში ერთვებიან. მათ სჯერათ, რომ თუ დემონს მსხვერპლს შესწირავენ, მაშინ იმას მიიღებენ, რაც სურთ. მარტივად რომ ვთქვა, ეს ხელშეკრულებაა თვით სატანასთან. მადლობა ღმერთს, მსგავს მსხვერპლშეწირვა ზე საქართველოში არაფერი მსმენია“, – აცხადებს ბიძინაშვილი.

როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, ორიოდე თვის წინ, გურჯაანის სოფელ ახაშენის სასაფლაო დაარბიეს – უცნობებმა გარდაცვლილთა საფლავის ქვები მასობრივად გატეხეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ქმედება ბავშვებმა ჩაიდინეს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ საფლავის მძიმე ქვების გატეხვის და დაზიანების უნარი ბავშვებს არ შესწევთ. ადგილობრივთა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ მომხდარი, გარკვეულწილად, მსხვერპლშეწირვის რიტუალთანაა დაკავშირებული.

ვერავინ უარყოფს, რომ თბილისში მსხვერპლშეწირვის რიტუალები ტარდება, რისი ნათელი მაგალითიც სხვადასხვა გვირაბში, სასაფლაოსა თუ მიტოვებულ შენობაში ნაპოვნი ცხოველთა ფიტულები და სისხლიანი წარწერებია, თუმცა ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

იმის გასარკვევად, ნამდვილად გახდა თუ არა იური ვაზაგაშვილი სისხლიანი რიტუალის მსხვერპლი, „ქართული სიტყვა“ კიდევ ერთ ექსტრასენსს დაუკავშირდა, რომელმაც პარაფსიქოლოგ იანას მსგავსად, ანონიმურობა მოითხოვა.

„ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲛᲐᲒᲘᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲔᲛᲝᲜᲣᲠ ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲫᲐᲚᲐᲣᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ, ᲨᲐᲕ ᲛᲐᲒᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲕᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲐᲗ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲓᲔᲛᲝᲜᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐᲕᲔᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲠᲐᲪ ᲡᲣᲠᲗ. ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲔᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲢᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ“.

ᲞᲐᲠᲐᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ ᲘᲐᲜᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲛ Ჯ�გᲣᲤᲛᲐ ᲛᲝᲙᲚᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲗᲐᲜ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ.

„ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲔᲚᲝᲓᲐ... ᲛᲐᲗ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲚᲐᲓ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ, ᲛᲣᲥᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲔᲪᲕᲐ... ᲘᲡᲘᲜᲘ ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ... ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲖᲣᲡᲢᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲮᲚᲔᲚᲝ... ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲛᲝᲓᲘᲡ... ᲨᲐᲕ-ᲑᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ... ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲔᲡ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔᲡ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲨᲐᲕᲘ ᲛᲐᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ... ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲐ“, – ამბობს ესმა.

რაც შეეხება შემთხვევით მკვლელობებს, კაცობრიობის ისტორიას ამის ანალოგიც მრავლად აქვს. თვალსაჩინოებისთვის, „მენსონების ოჯახის“ მიერ მოკლული ადამიანებიც გამოდგებიან: ახალგაზრდა მკვლელებმა ტელევიზიით გაჟღერებული ინფორმაციით შეიტყვეს, რომ მათ მიერ წინა ღამით მოკლულ ადამიანებს შორის, გამოჩენილი რეჟისორის, რომან პოლანსკის ორსული მეუღლე, შერონ ტეიტიც იმყოფებოდა. ახალმა ამბავმა მათ თავზარი დასცა, თუმცა უკვე გვიანი იყო. დღეს, მკვლელობიდან 45 წლის შემდეგაც, ისინი კალიფორნიის ციხეში არიან და შეწყალებას ელიან.

აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად, „ქართული სიტყვა“ სხვა ცნობილ პარაფსიქოლოგებსაც, მათ შორის, „ექსტრასენსთა ბრძოლის“ ფინალისტებს – თემურ ხიმიშვილსა და ლალი ხელაშვილსაც დაუკავშირდა, თუმცა მათ საუბარი არ ისურვეს:

– ქალბატონო ლალი, მოგესალმებით... თქვენი დახმარება მჭირდება... რამდენიმე წუთი გაქვთ?

– *რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირებით მირეკავთ და ამაზე საუბარი არ მინდა. მე არც პოლიტიკურ პროგნოზებს ვაკეთებ და არც – ასეთ სკანდალურ საკითხებზე კომენტარს... ბოდიშს გიხდით...*

ეს სტატია მიზნად ადამიანების შეცდომაში შეყვანას, ან რომელიმე კონკრეტული ჯგუფების დისკრედიტირებას არ ისახავს. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა მომხდარი ის ერთ-ერთი ვერსიაა, რომელსაც არსებობის უფლება, უდავოდ, აქვს.

გარდა ამისა, არსებობს ვარაუდი, რომ იური ვაზაგაშვილის კვალი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებამდე ან, სულაც, რუსეთამდე მივა. რუსულ ვერსიას, პირდაპირ თუ ირიბად, კონსტანტინე გამსახურდიაც იზიარებს, რომელმაც „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

„ერნესტ იასანის რუსული სერიალი „თხუნელა“ („კროტ“), რომელიც 2001 წელსაა გადაღებული, მაყურებლის წინაშე ადამიანის მკვლელობის საინტერესო მეთოდს წარმოაჩენს: ქართველ მაფიოზს, გვარად მარგელაძეს მოკვლას უპირებენ იმით, რომ ძმის საფლავში უმონტაჟებენ დისტანციური მართვის ბომბს, რომელიც ფეთქდება... თუკი გავითვალისწინებთ კინემატოგრაფიის გავლენას ადამიანებსა და ორგანიზებულ ჯგუფებზე, მათთვის დანაშაულის მეთოდის შთაგონების მხრივ, ნამდვილად ანგარიშგასაწევი იქნება ბოლოდროინდელი მოვლენების კონტექსტშიც. თანაც საყურადღებოა: ის, ვინც უნდა მოკლან, ეროვნებით ქართველია. ასე რომ, დიდი ალბათობით, პოსტსაბჭოური სივრცისთვის დამახასიათებელ ტიპურ მიდგომებთან უნდა გვქონდეს საქმე“.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: როგორც „ქართულ სიტყვას“ უთხრეს, სასფლაოზე მკვლელობა ქართული სინამდვილისთვის უცხო არაა – 90-იან წლებში, საქართველოდან სილიკომანგანუმი გაჰქონდათ და, როგორც წყარო ამბობს, ხალხი ფულში „გადააგდეს“.

„ამ საქმეში მთელი მაშინდელი ძალოვანი უწყებები იყვნენ ჩართულნი და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ლაპარაკი მილიონებს ეხებოდა... ამ საკითხს ქურდი „კეტე“ აგვარებდა, რომელიც მოკლეს. მოგვიანებით კი, მკვლელი „კეტეს“ საფლავზე დააკლეს, ანუ სასაფლაო მკვლელობის ცინიკური ფორმაა, რომელსაც ოპერატიულმა მუშაკებმა ყურადღება უნდა მიაქციონ“, – ამბობს „ქართული სიტყვის“ წყარო.

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ



„ᲔᲠᲜᲔᲡᲢ ᲘᲐᲡᲐᲜᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ „ᲗᲮᲣᲜᲔᲚᲐ“ („ᲙᲠᲝᲢ“), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2001 ᲬᲔᲚᲡᲐᲐ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲔᲗᲝᲓᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲔᲜᲡ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲐᲤᲘᲝᲖᲡ, ᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲐᲠ�გᲔᲚᲐᲫᲔᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲫᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲨᲘ ᲣᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲛᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲔᲗᲥᲓᲔᲑᲐ... ᲗᲣᲗᲙᲘ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲖᲔ, ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘᲪ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲐ: ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲐᲜ, ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚ ᲢᲘ�პᲣᲠ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ“.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

9

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲔᲠᲣᲨᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ

ᲤᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

„იურა მოკლეს და ჩემისთანა უბედურ ქალს რას უზამენ?!“

სამებისაკენ მიმავალი გზა ყოველთვის გადატვირთულია — ქვეყნის მთავარ ტაძარს მლოცველები არასოდეს აკლია... დღეს კი, განსაკუთრებული დღეა — საკუთარი შვილის საფლავზე აფეთქებული იური ვაზაგაშვილი სამებაში უნდა გადაასვენონ, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება... სამებისაკენ მიმავალი გზა ახლაც გადატვირთულია — ადამიანები ცდილობენ, შვილის მკვლელებთან მებრძოლ მამას პატივი მიაგონ და უკანასკნელ გზაზე გააცილონ.

— ეს ყველაზე დიდი ცინიზმით ჩადენილი მკვლელობაა, — მაშინ, როცა საზოგადოებაში იური ვაზაგაშვილის მკვლელობაზე საუბრობენ, ამ სიტყვებს აუცილებლად გაიგონებთ. ეს თემა მთელი კვირაა, ყურადღების ცენტრშია და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება — მანამ, ვიდრე გამოძიება მკვლელობის შემკვეთსა და შემსრულებელს არ დაადგენს.

საქართველოში უამრავი მკვლელობა მომხდარა, მაგრამ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის გარემოებები ყველაზე უფრო შემზარავი და ტრაგიკულია — მამა შვილის საფლავზე მოკლეს, სწორედ იმ შვილის საფლავზე, რომლის საქმის გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას თითქმის ცხრა წელი ითხოვდა!..

სამებისკენ მიმავალ აღმართს ნელა მივუყვები და, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, სხვისი საუბრის მოსმენა კარგი საქციელი არაა, ვცდილობ, გავარკვიო, ხალხი რა ვერსიებს განიხილავს...

ორი ქალბატონი სამების აღმართს მძიმედ მიუყვება.

— ეს კაცი ქართველი მამის სიმბოლო იყო, — ამბობს ერთი.

— ასეთები არ უნდა იხოცებოდნენ, — კვერს უკრავს მეორე და ცრემლებს ძლივს იკავებს, — არ ვიცნობდი, ტელევიზიის გარდა, არსად მინახავს, მაგრამ მისი შეუპოვრობა ყოველთვის მაოცებდა... შვილისთვის რას არ გააკეთებ...

— ხშირად მიფიქრია, ნეტავ, შევძლებდი, რომ მეც ასე მოვქცეულიყავი? იურა კაცი იყო, მაგრამ ირინა ენუქიძეს რომ ვუყურებდი, კეთილი შურით მშურდა — მე ამას ვერ გავაკეთებდი... შვილი ვის არ უყვარს, მაგრამ ასეთ ბრძოლას გამბედაობა უნდა...

— ღმერთმა შვილის სიკვდილი ყველას აშოროს, მაგრამ როცა გაგამწარებენ, ასე აღარ ილაპარაკებ, ძალა მოგეცემა...

ნაბიჯს ავუჩქარე...

მამაკაცების ერთ ჯგუფს მივუახლოვდი... ერთ-ერთი მეცნობა, მაგრამ ვერ ვიხსენებ, ვინ არის. მხოლოდ შემდეგ, შინ დაბრუნებულმა აღვიდგინე, რომ ეს შუახნის მამაკაცი ყოფილი ხელისუფლების მიერ შვილმოკლულთა გარემოცვაში ხშირად მინახავს, ოღონდ ვინაა, ახლაც არ ვიცი...

— სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი, საწყალს. მითხრა, ახლაც თუ არაფერი გამოვიდა, მერე უკვე აღარ ვიცი, რა გავაკეთოო...

— გამოძიების დამთავრების იმედი ჰქონდა? — ეკითხებიან.

— ჰო, ამბობდა, შვილს ვინ გამიცოცხლებს, მაგრამ ამათ ამას არ შევარჩენო... ბევრს ვფიქრობ, თუ ვის უნდა გაეკეთებინა ეს ამბავი და ვერ გამიგია, ვერ მივმხვდარვარ, ვის უფრო აწყობდა ამის გაკეთება. „ნაციონალები“ ყველაფერს რომ იკადრებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამდენ ხანს აიტანეს ეს კაცი და ახლა რა დაემართათ?

მამაკაცებმა ვერსიებზე გაცხარებული საუბარი დაიწყეს. იმსჯელეს ახალ ხელისუფლებაზე, „ყოფილებზეც“, არ გამორიცხეს სპეცსამსახურები და, რა თქმა უნდა, რუსული კვალი... პირდაპირ დაადანაშაულეს საკაშვილი და გაიხსენეს მისი „მუქარა“, იმაზე ადრე დავბრუნდებით, ვიდრე გგონიათო... და სამების ჭიშკართანაც მივედით...

ოფიციალური ინფორმაციით, ვაზაგაშვილის ცხედრის სამებაში გადმოსვენება 16 საათისთვისაა დაგეგმილი. ჯერ ოთხის ნახევარია. იმ შესასვლელთან მივედი, საიდანაც იური ვაზაგაშვილის ცხედარი ტაძარში უნდა მოასვენონ და ხალხში გავერიე.

ნაცნობი ჯერ არავინ ჩანს... ადამიანები, რომლებიც ვაზაგაშვილს საერთოდ არც კი იცნობდნენ, მრავლად შეკრებილან და საუბრობენ... საუბრობენ მკვლელობის ვერსიებზე, იარაღსა და ყველაფერზე, რაც ამ საქმეს უკავშირდება. განიხილავენ მედიის მიერ გაჟღერებულ ყველა ვერსიას...

ამასობაში, ეკლესიის შესასვლელს კატაფალკა მოუახლოვდა და მიცვალებული გადმოასვენეს. ჩემს გვერდით შაოსანი ქალი დგას, თავზე კი, ისეთი თავსაფარი აფარია, სახე თითქმის არ უჩანს. როცა მიცვალებული ტაძარში შეასვენეს, ვაიმე, შვილო, მომესმა და გონზე მოსვლა ვერ მოვასწარი, შაოსანი ისე ჩაიკეცა...

წამოვაყენე, ჯერ მეგონა, რომ ოჯახის ახლობელი იყო, მაგრამ...

ქალი წელში ნელ-ნელა გაიმართა და დამამშვიდა, კარგად ვარო და ეკლესიაში შელასლასდა. უკან გავყევი, ვცდილობ, ახლოს ვიყო — მეშინია, ამდენ ხალხში კიდევ ცუდად არ გახდეს, თან მაინტერესებს, ვინაა.

ქალმა ეკლესიაში კარგა ხანს „იბორიალა“, მერე, როგორც იქნა, კუბოს მიუახლოვდა და სანთელი აანთო, თან განუწყვეტლივ ტიროდა. ვერ მოვითმინე და გამოველაპარაკე:

— იური ვაზაგაშვილი თქვენი ახლობელი იყო?

— არა, სულ ორჯერ შევხვდი...

— აბა, რა მოხდა? მომიყვებით?

— ვერ მოგიყვებით, მეშინია!

— რატომ?

— შეგამჩნიეთ, წელან ფოტოებს რომ იღებდით... მივხვდი, ჟურნალისტი ხართ...

— ვისი, ან რისი გეშინიათ?

— ჩემი უბედურება რომ მოგიყვეთ, გაზეთში დაწერთ, მე კი, შვილები მყავს...

— მერე რა, რომ შვილები გყავთ? ეს მათ რას დაუშავებს?

— დაუშავებს და მერე როგორ, იური ვაზაგაშვილი მოკლეს და ჩემისთანა უბედურ ქალს რას უზამენ?!

— ვინ ხართ?

— არ გეტყვით, ვინ ვარ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ იმ 125 ბიჭიდან, „ნაცებმა“

რა ხდებოდა იური ვაზაგაშვილის პანაშვიდზე სამებაში

რომ მოკლეს, ერთ-ერთის დედა ვარ... დედა მოგიკვდეს, შვილო...

— რომლის?

— ვერ გეტყვით... ხომ გითხარით, მეშინია, ჩემს უბედურ შვილებსაც რამე არ დამართონ. ამდენი ხანი ჩუმად ვიყავი, ძველი ხელისუფლება რომ წავიდა ვიფიქრე, იქნებ, სამართალი ვიპოვო და ის მაინც გავიგო, ჩემი შვილის მკვლელები ვინ არიან-მეთქი, ბატონ იურისთან მივედი... უბრალო ქალი ვარ — რა შემეძლო?! იურა მომეხმარა — განცხადება შემატანინა პროკურატურაში, იმედი მომეცა, მაგრამ... ხომ ხედავთ, ისიც არ დაინდეს... მძიმე ავადმყოფი ვარ, მალე წავალ ჩემს ბიჭთან **(ამის თქმაზე სახე გაუბრწყინდა და გაიღიმა — ნ.ვ.)** შვილის გარდაცვალების შემდეგ, მეუღლეს გულის შეტევა დაემართა და მალე მიჰყვა, უბედურს...

ისევ ცუდად გახდა... გარეთ გამოვიყვანე და დავსვი. ცოტა ხანს ერთად ვიჯექით, ხმა აღარ ამოუღია. მეც ჩუმად ვიყავი — მეშინოდა, ისევ ცუდად არ გახდეს-მეთქი. მერე, კარგად ვარო, თქვა და გასასვლელისკენ წალასლასდა.

— არ გამომყვე, სიარული შემიძლია, — მითხრა...

გულდამძიმებული ეკლესიაში შევბრუნდი, სადაც პანაშვიდი მიმდინარეობდა. თავი მოეყარათ საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებს და მსჯელობდნენ...

ჯერ სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე, მერე — სანდროს ბაბუა, ახლა იური ვაზაგაშვილი, ვინ იქნება შემდეგი? — ეს შეკითხვა დღეს უკვე ბევრისგან მოვისმინე.

ისე, აუცილებელი არაა, ტერაქტი მოაწყონ და სამართლიანობისთვის მებრძოლი ცნობადი სახე სიცოცხლეს ასე ხმაურით გამოასალმონ. შემდეგი, ალბათ, ის ქალბატონი იქნება, ყველასთვის უჩუმრად, ხმისამოუღებლად რომ დასტირის თავის უდანაშაულო შვილს და განადგურებულ ოჯახს. სამართლიანობა კი მაშინ აღდგება, თუ ამ ადამიანებს მივხედავთ და საფლავში უილაჯობის განცდას არ გავაყოლებთ. უილაჯობა, დამეთანხმებით, ყველაზე საშინელი განცდაა. ეს ის განცდაა, რომელიც საფლავამდე ყოველგვარი ტერაქტისა და ხმაურიანი გარჩევების გარეშე მიგიყვანს.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

10 | № 4 (268) | 28.I-3.II იანვარი 2015

ქართული ტყუპი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

როგორ შეაღწია ქართველმა ჟურნალისტმა რუსეთისგან ოკუპირებულ აფხაზეთში

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ სოხუმის მარიონეტულ რეჟიმთან დადებული ე.წ. მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. „ეს ისტორიული მომენტი რუსულ-აფხაზური თანამშრომლობისთვისაა“, – განაცხადა დსთ-ს საქმეების, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკიმ. შეგახსენებთ: აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა, რუსეთთან ერთად, მის მიერ წაქეზებულმა რამდენიმე ქვეყანამაც – ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და ვანუატუმ აღიარა, თუმცა ამ უკანასკნელმა აღიარება უკან წაიღო... ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, სამხედრო-პატრიოტულ ჟურნალ „მეცხოვნის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი ზაირა მიქატაძე ახლახან, რამდენიმე დღით, ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა...

– ზაირა, სოციალურ ქსელში ოკუპირებულ აფხაზეთში გადაღებულ ფოტო-ვიდეო მასალას დებ, საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებზე წერ. მოკლედ, დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა რუბიკონი გადალახე – ოკუპანტის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეაღწიე. რა გამოხმაურება მოჰყვა ამ ვიზიტს სამთავრობო სტრუქტურებისგან, აფხაზეთის დე იურე ხელისუფლებისგან?

– დიდი ხნის მცდელობის შემდეგ, შესაძლებლობა მომეცა, აფხაზეთში ჩავსულიყავი, სადაც საკმაოდ შთამბეჭდავი მასალა მოვაგროვე... შემოვიარე ქალაქები და სოფლები – გალი, კოხორა, შეშელეთი, აჩიგვარა, ოხურეი, ილორი, არადუ, ვარჩე, ტამიში, ლაბრა, კინდღი, დრანდა, გულრიფში, კელასური, სოხუმი, აჩადარა, გუმისთის მიდამოები, გუდაუთა, გაგრა... ჩემდა გასაოცრად, აფხაზეთში ჩემს მოგზაურობას კომპეტენტური ორგანოებისგან გამოხმაურება არ მოჰყოლია. „ფეისბუქზე“ მხოლოდ დევნილები გამომეხმაურნენ... ზოგიერთმა ფოტოებში საკუთარი სახლი ამოიცნო, მაგალითად, ჟურნალისტმა ნათია ახალაიამ, რომელსაც სახლი სოფელ აჩადარაში აქვს... დევნილები მწერენ:

„ისევ გააცოცხლე მოგონებები, ზაირა, თვალწინ დაგვიდგა ყველაფერი... განსაკუთრებით იმათ აუშლის მოგონებებს, ვინც იქ თავისი სამშობლო, ბავშვობა, წარსული, გული და სული, სახლ-კარი, ახლობელ-ნათესავების საფლავები და ძვლები დატოვა...“

„ზაირა, მთელი ბავშვობა აფხაზეთში მაქვს გატარებული, როგორ მწყდება გული... ოჩამჩირედან ტყვარჩელის გზაზე რომ სოფლებია – ბესლახუბა, აკვასკა, გუფა... მათ შესახებ ხომ არაფერი იცი? კინდღი, კელასური... აუ, მდინარე მოქვი როგორ მიყვარდა... მდინარე ღალიძგაზე რამდენი მიბანავია?! ... სოხუმსა და ოჩამჩირეს ხომ ნუ იტყვი... მახსოვს, ერთხელ მთელი ტყვარჩელი ფეხით მოვიარეთ...“

– სოხუმის დაცემიდან 21 წელი გავიდა. 21 წელია, ძველი და ახალგამომცხვარი პოლიტიკოსები ომახიანად სჭექენ ლოზუნგებს, იწერება სიმღერები... ზაირა, ნუთუ, ერთი პოლიტიკოსიც არ გამოგეხმაურა?

– არა... ჩამოსვლისთანავე, ირაკლი სესიაშვილს მივწერე, აფხაზეთში ვიყავი და საინტერესო დეტალები მაქვს, რისი გაზიარებაც მინდა-მეთქი. მიპასუხა, რომ ჩემი მოგზაურობის შესახებ იცის და მეტი არაფერი... ხელახლა მივწერე და ჩემი იდეა გავუზიარე. მიპასუხა, რომ ამ მასალებს სიამოვნებით გაეცნობა.

– რა იდეა გაქვს?

– ვფიქრობ ალბომის გამოშვებას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ჩემს მიერ აფხაზეთში მოპოვებული ფოტომასალა, შთაბეჭდილებები, ჩანაწერები. ერთ-ერთი ჩანაწერი სოხუმში, პირდაპირ მინისტრთა დამწვარი საბჭოს წინ გავაკეთე – ძალიან ემოციური და შთამბეჭდავია. არაოფიციალური შეხვედრებიც აღვწერე... ირაკლი სესიაშვილს სწორედ ეს იდეა გავაცანი: ამ ალბომს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას გადავცემ და იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია რუსეთისა და სხვა რამდენიმე სახელმწიფოს მიერ აღიარებული აფხაზეთი, სწორი წარმოდგენა შეექმნებათ და როგორი გაუკაცრიელებული „ქვეყნის“ აღიარებას სთხოვენ აფხაზები მსოფლიოს-მეთქი.

„ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲐ... ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲨᲔᲛᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲐ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲘᲑᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲔᲜᲘᲐᲗ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲐᲜ, ᲒᲐᲔᲠᲙᲕᲘᲐᲗ, ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲔ, ᲠᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘ. ᲐᲠ ᲕᲐᲛᲑᲝᲖ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲘᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑ“.

– ზაირა, აფხაზეთთან რა გაკავშირებს?

– აფხაზეთის ომში „თეთრი არწივის“ ქვედანაყოფთან ერთად ვმონაწილეობდი – მაშინ სტუდენტი ვიყავი, მაგრამ როგორც მთავრობა დაინტერესებულა?

– ეს ინტერვიუ ჩემი პირველი საჯარო გამოსვლაა... დღემდე უწყებიდან არავინ შემხმიანებია. არადა, ვფიქრობდი, ჩამოსვლისთანავე შესაბამისი სამსახურები დამიბარებდნენ და გამესაუბრებოდნენ. ინტერესიც არ გამოუჩენიათ. სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც განუწყვეტლივ ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრობენ, არ დაინტერესებულან, გაერკვიათ, რა ვნახე, რა შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. არ ვამბობ, რომ ამ წლების განმავლობაში ექსკლუზიური მასალა მხოლოდ მე ჩამოვიტანე, მაგრამ ხელისუფლება აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული მასალებით, ჩემი აზრით, მუდმივად უნდა ინტერესდებოდეს, აღარაფერს ვამბობ იმ სხვა საკითხებზე, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჟურნალისტის გადასვლას ახლავს. ხელისუფლების ასეთი გულგრილი დამოკიდებულება არ მაშინებს და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტს ნებისმიერი გზით განვახორციელებ.

– ზაირა, აფხაზეთთან რა გაკავშირებს?

– აფხაზეთის ომში „თეთრი არწივის“ ქვედანაყოფთან ერთად ვმონაწილეობდი – მაშინ სტუდენტი ვიყავი, მაგრამ როგორც შტატგარეშე კორესპონდენტი ყველაფერს აქტიურად ვაშუქებდი... ჩვენი ნაწილი ბაბუშერაში იყო განლაგებული... ტამიშის დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაშიც ამ ბიჭებთან ვიყავი.

– აფხაზეთი როდის დატოვე?

– 1993 წლის 12 ივლისს... უკან დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ სასწავლო საქმეების გამო შევფერხდი... არ მეგონა, ომი ასე მალე თუ დამთავრდებოდა. სოხუმის დაცემის შემდეგ, საზოგადოებას მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი: პრესაში გამუდმებით ვიხსენებდი ომის დღეებს, ვწერდი ვეტერანებისა და დაღუპულთა ოჯახების უუფლებობასა და უმწეო მდგომარეობაზე. აფხაზეთის ომის მონაწილეთა დაჭერა-დაპატიმრებები რომ დაიწყო და მათ ოჯახებსა და თანამებრძოლების საფლავებს პატრონი აღარ ჰყავდათ, აქტიურად დავდიოდი ხელისუფლების სხვადასხვა წრეებში და დახმარებას ვთხოვდი, რომ ზოგის საფლავზე ბეტონი მაინც ჩამესხა.

– ომის მერე აფხაზეთში პირველად ჩახვედი?

– აფხაზეთში ჩასვლა ბევრჯერ ვცადე... მართალია, ომის დროს ტყვია არ გამისვრია, მაგრამ ვფიქრობდი, რომ სამხედრო ქვედანაყოფში ჩემი ყოფნა სადღაც დაფიქსირებული იქნებოდა. 1998 წელს, ერთმა რუსმა ოფიცერმა შემომთავაზა, სოხუმამდე ტანკით გაგიყვან და ტრამპლექსიდან აფხაზეთს დაგათვალიერებინებო, მაგრამ საეჭვო სიტუაცია იყო და ვერ გავბედე. მას მერე ვწვალობდი... ამჯერად გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ჩემი გადაყვანა გარისკა და დამეხმარა.

– ეს ადამიანი ვინაა?

– მისი უსაფრთხოების გამო, გვარს ვერ დავასახელებ. ეს კი არადა, კიდევ ვაპირებ ჩასვლას და არც ვიცი, ჩემი მოგზაურობის გასაჯაროება ამ გეგმაზე როგორ იმოქმედებს.

– რომელი ადგილები მოინახულე?

– გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, გულრიფში, სოხუმი და მისი შემოგარენი, გუდაუთა, გაგრა. სოფლები – კოხორა, შეშელეთი, აჩიგვარა, ოხურეი, ილორი, არადუ, ვარჩე, ტამიში, ლაბრა, კინდღი, დრანდა, კელასური, აჩადარა, გუმისთის მიდამოები...

ლესელიძემდე ვერ მივედი – ჩემმა მეგზურმა ვერ გაბედა და ვერც დავაძალე. გალის შემდეგ, ისედაც კონსპირაციულად დავდიოდი და ფოტოებსა და ვიდეოსაც კონსპირაციულად ვიღებდი – მიბრაზდებოდა, რომ გამოგიჭირონ, მე ვერ გიშველი, ხუთწლიანი ციხე გარანტირებული გაქვსო.

– მოდი, სულ თავიდან დავიწყოთ, აი, იქიდან, სასაზღვრო პოსტს რომ მიადექი...

– ქართველებისა და აფხაზების საგუშაგო მშვიდობიანად გავიარე. ეგაა, უზარმაზარი რიგია – დგომა რამდენიმე საათი გიწევს. რუსებს რომ მივადექი, მაშინვე პრობლემა გაჩნდა – ჩემსა და მესაზღვრეს შორის კამათის მიზეზი საშვში გაურკვევლად ჩაწერილი ციფრი გახდა. ასეთ შემთხვევაში, რიგიდან გამოყავხარ, იქვე, სადაც სხვა მესაზღვრეები პატრულირებენ, მიდის განსაკუთრებული შემოწმება და პიროვნების იდენტიფიკაცია, რაც ნამდვილად არ მაწყობდა... უკან გამობრუნებას არ ვაპირებდი.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-11 ᲒᲕ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

11

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თავი ხელში ავიყვანე, ღიმილი „დავიყენე“, რადგან ყურადღება არ მიმექცია. რუსმაც გამიღიმა და ასე, ღიმილიანი კამათის შემდეგ, გადასვლის ნება მივიღე. სამშვიდობოს თავი დავიგულე, შვებით ამოვისუნთქე და ქართულად ჩავილაპარაკე: შენ, რუსო ოკუპანტო, ამას არ გაპატიებ, რაც ჩავიფიქრე, ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი... საშვით, აფხაზეთში ყოფნა 30 დეკემბრამდე შემეძლო, მაგრამ იმდენად ბევრი შეხვედრა მქონდა, იმხელა ტერიტორიაზე გადავადგილდებოდი, რომ შესაძლებელი იყო, ვინმე დაინტერესებულიყო ჩემი პიროვნებით, ამიტომ თვალში ვინმეს რომ არ მოვხვედროდი, ვამჯობინე, იქაურობას დროულად გავცლოდი.

— იქ მთავარი, აფხაზებსა და ქართველებთანაც, ალბათ, ნდობის ფაქტორია, არა?

— დიახ შეხვედრების პირველი შთაბეჭდილება კარგი იყო, მაგრამ პირველი 5 დღე ნდობა მაინც გამიჭირდა. თავდაპირველად საერთოდ არ მეძინა. ყოველ წუთს „რაღაცას“ ველოდი.

— იქაურობა როგორ გამოიყურება?

— სიზმარში ჯოჯოხეთი მაქვს ნანახი და ზუსტად ისეთია. მხოლოდ დრანდასა და კელასურში შენიშნავ რამდენიმე სახლს. გალიდან სოხუმამდე გზა უკაცრიელია — გადამწვარ და ნანგრევებად ქცეულ სახლებზე ხეებია ამოსული, ეზოები ტყეებადაა გადაქცეული, ამას ნასახლარიც აღარ ჰქვია. მოკლედ, თავი ჯოჯოხეთში გეგონება.

— ქართველების სახლებში არავინ ჩასახლებულა?

— სოხუმს აქეთ, სამეგრელოსკენ ჩასახლება არაა. რუსეთის მხრიდან, სოხუმამდე, კიდევ არა უშავს, თუმცა არც მოწესრიგებული ჰქვია. სოხუმსა და გაგრაშიც დამწვარი შენობები ისევ ისე დგას, ხელი არავის უხლია. ასეთივე მდგომარეობაშია სახელმწიფო დანიშნულების ობიექტებიც. მაგალითად, გაგრასა და სოხუმში ომის დროს გადამწვარი რკინიგზის სადგურები ისევ ისე დგას, ისევ აჩნია ნატყვიარი და ნახანძრალი. სოხუმში მატარებელი დადის, მაგრამ სადგური არ ფუნქციონირებს — ხალხი გარეთ ელოდება. ასეთივე მდგომარეობაშია კელასურის, გულრიფშის, ტამიშის, გალის სადგურები. ამ უკანასკნელზე ისევ კომუნისტებისდროინდელი ქართული წარწერაა. ძველი, ჩამოშლილი წარწერები და დასახელებები ბევრგან გხვდება. კორუფციის კვალი ატყვია ყველაფერს. ხელისუფლების წარმომადგენლებს ბიზნესი და შემოსავალი რესტორნებიდან, სასტუმროებიდან, ბარებიდან აქვთ, უბრალო ხალხი კი, შავ დღეშია. ამიტომაც ხალხი გრძნობს, რომ რუსეთმა და რუსებთან გარიგებულმა საკუთარმა ხელისუფლებამ მოატყუა.

— ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები სადაა განთავსებული?

— გალში შენობის ერთი ნაწილია გარემონტებული და იქ სხედან. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სოხუმში, მინისტრთა საბჭოს შენობა, რომლის წინაც 27 სექტემბერს გამარჯვებული „ბოევიკები“ პოზირებდნენ, ისეთივე გადამწვარი დგას. მასზე გადაჭიმულია ბანერი, რომელზეც გამარჯვების ორდენია გამოსახული. მარჯვენა ფლიგელში აფხაზეთის სატყეო სამმართველოა განთავსებული, დანარჩენი სართულები გადამწვარია.

ნათია, ვიდრე რკინიგზის სადგურებს ვნახავდი, ვფიქრობდი, მინისტრთა საბჭოს შენობას, როგორც თავიანთი გამარჯვების სიმბოლოს, ალბათ, მუზეუმად ინახავენ-მეთქი, მაგრამ ომის დროს დამწვარი სასტუმრო „აფხაზეთი“ იგივე მდგომარეობაში რომ დავინახე, მივხვდი, რომ რუსები ამ ხალხს ისეთ ინფრასტრუქტურას არ შეუქმნიან, რაც კომფორტს მისცემს. რუსები იმას აკეთებენ, რაც ხელს მათ აძლევთ.

— მაგალითად?

— კერძო სასტუმროები, მაღაზიები, ანუ ის, რაც მათ შემოსავალს მოუტანს.

— პლაჟები როგორ გამოიყურება?

— ბათუმის პლაჟებს ვერ შეადარებ, მაგრამ არა უშავს. გაგრაში სანაპიროს ინფრასტრუქტურას რუსი ბიზნესმენები აწესრიგებენ, რა თქმა უნდა, თავისთვის.

— ზაირა, შეხვედრები ვისთან გქონდა?

— დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

— წარგადგინეს, როგორც ჟურნალისტი?

— არა, რას ლაპარაკობ?! არც მიხსენებია. ეს არ იყო ოფიციალური შეხვედრა, უფრო მათ საუბრებს ვუსმენდი. შეკითხვასაც არ ვსვამდი. საქმე ისაა, რომ ამ ხალხს რაღაცა ალაპარაკებს, კითხვა არც სჭირდებათ, თავად სვამენ შეკითხვას: ვის უნდოდა ეს ომი? თავადვე პასუხობენ: კარგად ვიყავით, როცა ერთად ვიყავით!

— იმის თქმა გინდა, რომ აფხაზები რუსებს განუდგნენ?

— არ აგინებენ რუსებს, არც — ქართველებს, მაგრამ ჩვენთან ურთიერთობა ენატრებათ. ადრე, როცა დევნილები აფხაზ მეზობლებს და მოკეთეებს ცრემლებით იხსენებდნენ, ვფიქრობდი, თამაშობენ-მეთქი, მაგრამ ახლა, აფხაზებთან საუბრის დროს მივხვდი, რომ ის ცრემლები გულწრფელი იყო. თუკი აქამდე აფხაზეთის დაკარგვით ფიზიკურ დასახიჩრებას განვიცდიდი, ამ ვიზიტის მერე, სულიერი დასახიჩრებაც ვიგრძენი — აფხაზების სახით ოჯახის წევრი დაგვიკარგავს! მაფრთხილებდნენ, აფხაზი არ ინდობაო. მათ მოედანზე ვიყავი, მათ თამაში არ სჭირდებოდათ და თუ თავს მაწონებდნენ, ე.ი. ჩემთან ურთიერთობა და სიახლოვე უნდათ და ნამდვილად გულწრფელები იყვნენ. ჩემმა თანამგზავრმა ყველას აცნობა, რომ თბილისიდან ვიყავი. მკოცნიდნენ, მეხვეოდნენ, სახე უნათდებოდათ. არაჩვეულებრივად მიმასპინძლეს გუდაუთაში — როცა მათთან შევედი, „ერისიონის“ კლიპი ჰქონდათ ჩართული და იქაურობა გრიალებდა.

— რუსულად საუბრობდით?

— კი, რუსულად, შიგადაშიგ ქართულ სიტყვებს ჩაურთავდნენ ხოლმე. აქეთ წამოსული მეზობლების ამბავს კითხულობდნენ, ჩემს თანამგზავრს ვიღაცის კოორდინატები ჰქონდა და დააკავშირა. არაჩვეულებრივი, ემოციური სატელეფონო საუბარი შედგა, მონატრებით სავსე. ერთი სიტყვით, იმათაც უჭირთ ჩვენს გარეშე. აფხაზები იდეოლოგიურად რუსების გავლენის ქვეშ არიან და მათი ეშინიათ, ერთად სურათებიც გადავიღეთ, მაგრამ მთხოვეს, საზღვარზე ნუ გადაიტან, ინტერნეტით გადააგზავნეო.



„ᲨᲔᲜ, ᲠᲣᲡᲝ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲝ, ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑ!“ — ᲖᲐᲘᲠᲐ ᲛᲘᲥᲐᲢᲐᲫᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

„ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲕᲪᲐᲓᲔ... ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲡᲕᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲕᲔᲓᲐᲜ-ᲐᲧᲝᲤᲨᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. 1998 ᲬᲔᲚᲡ, ᲔᲠᲗᲛᲐ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲖᲐ, ᲡᲝᲮᲣᲛᲐᲛᲓᲔ ᲢᲐᲜᲙᲘᲗ ᲒᲐᲒᲘᲧᲕᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲓᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡ ᲓᲐᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲡᲘᲢᲧᲣᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲒᲔᲓᲔ. ᲛᲐᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲕᲬᲕᲐᲚᲝᲑᲓᲘ... ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲘᲡᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲐ... ᲛᲘᲡᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲕᲐᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲐᲠᲘᲠᲔᲑ ᲩᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲣᲠᲝᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ“.

— ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ?

— ქართული ენა მხოლოდ ქართულ სკოლებში ისწავლება, ასეთი კი მხოლოდ გალშია. ვერ დავაკონკრეტებ იმ ქართველთა ვინაობას, ვინც ქართული ენის შენარჩუნებისთვის უდიდეს გმირობას ჩადიან, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს: გალელ ქართველს არ სძინავს, ის ქართული ენის შენარჩუნებასა და გავრცელებაზე ზრუნავს. სხვანაირად რეგიონში, შესაძლოა, ქართული ენა დაიკარგოს. ძირითადად, რუსული სკოლებია, სადაც აფხაზურიც კი არ ისწავლება, არათუ — ქართული.

— ქართველები და აფხაზები როგორ ურთიერთობენ?

— ჩემს თანამგზავრ ქართველს აფხაზები სულ „ოქრო კაცს“ ეძახდნენ, გალელებში კი, ერთმანეთში ქორწინებაც აღმდგარია.

— ერთობლივი ბიზნესი აქვთ?

— გალში ქართველების მაღაზიებია გახსნილი, სოხუმის ბაზარში ქართველს ვერ ნახავ, მშენებლობებზე კი, მუშაობენ. ქართველები გუდაუთისა და გაგრის საავადმყოფოებშიც არიან.

— ქართველები ხომ არ ნანობენ, აფხაზეთში რომ დარჩნენ?

— ერთი ქართული ოჯახი, აქეთ საცხოვრებლად 11 წლის შემდეგ წამოვიდა — ვერ გაუძლო შეზღუდვებს. რუსები და სომხები უფრო გვზღუდავდნენ, ვიდრე აფხაზებიო, მითხრეს. გალელი ქართველები ამბობენ, რომ გალში იმდენი კრიმინალი არ ხდება, რასაც საქართველოს ტელევიზიები აცხადებენ. ვიდრე ჩავიდოდი, ორი დღით ადრე, ქართველი დააკავეს, რომელსაც ომში აქვს მონაწილეობა მიღებული — ამას აფხაზები არ პატიობენ. შიში მეც მქონდა, რადგან ომის მონაწილედ ვითვლები, მაგრამ რადგან საშვი მომცეს, საფრთხე ნაკლებად მემუქრებოდა, თუმცა დაკავების შემთხვევაში, პასუხი ყველაფერზე მქონდა... დოკუმენტური მასალები მაქვს, ომის დროს მოპოვებული — ომამდე აფხაზების რომელი სოფელი რა სახსრებით და იარაღით აღიჭურვებოდა, როგორ ემზადებოდნენ შეირაღებული კონფლიქტისთვის. აფხაზებთან ომი გარდაუვალი იყო, უბრალოდ, კიტოვანის შესვლამ პროვოცირება მოახდინა. აი, ამას ვეტყოდი, თუკი მკითხავდნენ, ქართველებმა ომი რატომ გააჩაღეთო.

— ზაირა, უფროს თაობას ესაუბრე, მას, ვინც კონფრონტაციას ხელი, პირდაპირ თუ ირიბად, შეუწყო. ახალგაზრდები რას ფიქრობენ?

— ერთ ახალგაზრდას შევხვდი, რომელიც 2012 წელს, ორ მეგობართან ერთად, თბილისის დასათვალიერებლად ჩამოვიდა. სპეცსამსახურებმა მათი გადაადგილების შესახებ შეიტყვეს და ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით დააკავეს, მაგრამ ბრალი ვერ დაუმტკიცეს და რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს. ეს ბიჭი მაინც დიდი სიყვარულით იხსენებს თბილისს და ქართველებს. სწორედ ამ ბიჭის ახლობელმა ოჯახმა მიმასპინძლა. შურისძიების გრძნობა რომ ჰქონოდათ, მათ ხელში არ ვიყავი?! ან სიძულვილი რომ გააჩნდეთ ქართველების მიმართ, შინ არც შემიშვებდნენ, მაგრამ სურვილიც კი აღარ აქვთ, თბილისსა და სხვა ქალაქებს ისევ ეწვიონ. წინა ხელისუფლება ამ ურთიერთობების განვითარებას ხელს არ უწყობდა.

— ახალი?

— ის, რაც განსაკუთრებულად ახარებთ,

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-12 ᲒᲕ.

12 № 4 (268) 28.I-3.II იანვარი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲔᲡᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენგან ოფლია;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქა

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-11 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ჯანდაცვის თემაა, რომელსაც წარმატებით ახორციელებს საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სამინისტრო – აფხაზეთიდან გადმოსულებს ძვირადღირებულ ოპერაციებს უფასოდ უკეთებენ.

– ამაზე რუსებს წინააღმდეგობა არ აქვთ?

– აქვთ, მაგრამ აფხაზებს სიცოცხლე ურჩევნიათ, პრობლემებს რამენაირად გაუმკლავდებიან.

– აფხაზეთის მოქალაქეებს დაზღვევა არ აქვთ?

– არა, ყველაფერი ფასიანია. რუსეთში მიდიან და იქ იღებენ სამედიცინო დახმარებას – ჩემი მასპინძელი შეძლებული ოჯახი იყო და საოპერაციოდ რუსეთში აპირებდა წასვლას. ამას ბევრი ვერ ახერხებს, რადგან მოსახლეობის უმეტესობა სიდუხჭირეში ცხოვრობს.

– სამედიცინო დაწესებულებები რა მდგომარეობაშია?

– მართალია, საავადმყოფოები არ მინახავს, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ არც იქაა სახარბიელო მდგომარეობა.

– აფხაზეთში დიდ როლს უხუცესთა აზრი თამაშობს. მათ ხომ არ შეხვედრიხარ?

– არა, მაგრამ ახალგაზრდებს ჩასაფრებულის პოზიცია აქვთ – დაწვრილებით აინტერესებთ, როგორ ვითარდება ენგურს აქეთ საქართველო. მკითხეს, თბილისში სასტუმრო „აფხაზეთი“ რა მდგომარეობაშიაო. როცა გაიგეს, რომ განათლების სამინისტროს გეგმაში აქვს, სკოლებში აფხაზური ენის სწავლების შემოღება, ძალიან გაუკვირდათ და გაუხარდათ.

– აფხაზეთის დე იურე მთავრობისგან ყურადღებას გრძნობენ?

– ხელისუფლებასთან კონტაქტი არ უნდათ და ამას ყოველგვარი აგრესიის გარეშე ამბობენ.

– არც კულტურული გაცვლა-გამოცვლის მომხრენი არიან?

– გასულ წელს, თურქეთში, ქართველ და აფხაზ მწერალთა შეხვედრა ასეთი კავშირების აღდგენის ერთგვარი მცდელობა იყო. ერთ-ერთ კონცერტზე ქართველი ბავშვების ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ცეკვა „ქართული“ წარმოადგინა, რის გამოც კულტურის სახლის დირექტორი მოხსნეს. ასე რომ, იქ ქართულ ანსამბლს არ მიიღებენ. ჩვეთან კი, ბევრ კონცერტზე მინახავს ქორეოგრაფიული ანსამბლების მიერ შერულებული აფხაზური ცეკვა. ერთხელ, მე და ჩემი გოგონა, პირდაპირ ქუჩაში, „აფხაზურის“ ილეთებს ვასრულებდით. გამვლელის დაჟინებული მზერა რომ შევნიშნეთ, გონს მაშინღა მოვეგეთ. ეს ამბავი აფხაზებს რომ ვუამბე, სიხარული ვერ დაფარეს. საერთოდ, აინტერესებთ, რამდენად ცვემთ პატივს ყოველგვარ აფხაზურს.

– მაგრამ, საკუთარი დანაშაულის აღიარება მაინც უჭირთ, არა?

– ამაყი ხალხია, თან გამარჯვებული, თუმცა ამბობენ, რომ ამ ომში ორივე მხარემ წავაგეთ. ასეთი განწყობის ფონზე, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მსგავს ვიზიტებს, თუკი იქიდან ვინმე გადმოვა, სითბო და სიყვარული დაანახოს.

– მოგონებებთან შეხვედრა, ალბათ, ძნელი იყო, არა?

– ძალიან ძნელი. როცა ტამიშს მივუახლოვდით, გული გამიჩერდა. მერე მითხრეს, თურმე, მითქვამს, ეს მიწა ჩვენი ბიჭების სისხლითაა მორწყულიო. იმდენად დიდი ემოციის ქვეშ ვიყავი, არც კი მახსოვს, ეს როდის ვთქვი.

მახსენდებოდა და თვალწინ მედგა ის მძიმე დღეები... 2 ივლისს, დესანტი ახალი მოგერიებული გვყავდა, რასაც რამდენიმე ბატალიონი პირწმინდად შეეწირა... ბაბუშერას აეროპორტში „ცინკის“ კუბოები ერთმანეთზე ელაგა – 16 კუბო დავთვალე, რომლებშიც ლაგოდეხის ბატალიონის მეომრები ესვენნენ. ხშირად, რამდენიმე თანამებრძოლს ერთ დღეს ვკრძალავდით და ვინაწილებდით, ვინ სად წავსულიყავით... ნიკუშა თურმანაულსა და აჩიკო ქსოვრელს, ცალცალკე, „რაფით“ მოვასვენებდით, იქაც გადავინაწილეთ ადგილები... მე ნიკუშას ცხედართან ვიყავი ჩამუხლული... დაკრძალვებზე ვერ ვტიროდი, ომი იყო და ჩემს თავს ამის უფლებას არ ვაძლევდი, იქ მყოფი ადამიანები მორალურად არ უნდა გამეტეხა. ეს ოცი წლის წინ იყო, მას შემდეგ ასაკიც შემეცვალა და გულიც, მაგრამ იმის რწმენა არ შემცვლია, რომ მეომარი ბრძოლაში კვდება!

ისე, აფხაზები თავიანთ გმირებს ძალიან დიდ პატივს სცემენ. ტამიშთან ის ადგილები მოვინახულე, სადაც ცნობილი ბრძოლები მიმდინარეობდა.

ოცდაერთი წელია, იქ დიდი მემორიალი დგას, რომელზეც ტამიშთან დაღუპული მეომრების ფოტოებია გამოფენილი. გაგრამდე თორმეტი ასეთი მემორიალი დავთვალე, შეიძლება სხვადასხვა ადგილას, მეტიცაა. ტამიშთან აღმართულ მემორიალურ დაფაზე აფხაზი მეომრების ორმოცდაცამეტი ფოტოა გამოფენილი. ვითვლიდი და მინდოდა, რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო. ეს იყო წუთები, როდესაც აფხაზ მეომრებზე ცრემლები პირველად გადმომცვივდა. წასვლის წინ, ჩვენმა ბიჭებმა დამაბარეს, იქნებ, ჩვენიდან დაიწყოს დათბობა, ვინც აფხაზეთში ვიდექით და ერთმანეთს ვებრძოდით, არ ვთხოვთ ჩვენთან დაბრუნებას, უბრალოდ, დავსხდეთ და დავილაპარაკოთო. როდესაც გადავეცი, მათაც თვალები ცრემლებით აევსოთ. ქართველების გარეშე არც უღირთ ცხოვრება.. ალბათ, ძალიან ადრეა აფხაზეთის საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ეს ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

– ზაირა, ავღანეთში, „აი-სა-ფი“-ს მისიაში, კოალიციის ჯარებთან ერთად, ქართული ქვედანაყოფის საქმიანობის ამსახველ ფოტოგამოფენაზეც გკითხავ: ეს იდეა როგორ გაჩნდა?

– 2013 წლის გაზაფხულზე, „ნიუ იორკ ტაიმსმა“ ჩვენს ჯარისკაცებზე ძალიან ცუდი სტატია დაბეჭდა. ავტორი წერდა, რომ ქართველი მებრძოლები ავღანეთის მოსახლეობას ცუდად ექცეოდნენ. ამაზე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. სოციალური ქსელით ჩვენს ბიჭებს დავუკავშირდი და მოვაგროვე მასალა, სადაც საერთაშორისო მისიაში, ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების ცხოვრებაა აღწერილი – მათი თანამონაწილეობა სოფლის ჩხრეკის ოპერაციებში, მოსახლეობასთან დამოკიდებულების ამსახველი კადრები. პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის დახმარებით, 12 აგვისტოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში გამოფენა გაიხსნა, რომელზეც მოვიწვიეთ დიპლომატიური კორპუსი, ვეტერანები, ჯარისკაცები, ნატო-ს წარმომადგენლობა. მერე, გამოფენა ბათუმში, ახვლედიანის სახელობის მუზეუმშიც მოეწყო... გამოფენა ავღანეთიდან დაბრუნებულმა ჩვენმა ბიჭებმაც ნახეს. მინდოდა, ყველას გაეგო, რომ ავღანეთში ჩვენი ბიჭები ნამდვილად არ ებრძვიან ადგილობრივ მოსახლეობას, პირიქით, ეხმარებიან. გამოფენაზე ერთი საინტერესო იდეაც განვახორციელე: ძველი და ახალი „ავღანელები“ ერთმანეთს შევახვედრე. მათ ბევრი საერთო აქვთ, სურვილიც და მოთხოვნილებაც, რომ ერთმანეთს გამოცდილება და მოგონებები გაუზიარონ. საერთოდ, ამ თემის გაშლას სერიოზულად ვაპირებ.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

ᲮᲘᲠᲮᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

13

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

„ეს ინფლაცია კი არა, დევალვაციაა. ინფლაცია მაშინ იქნება, როცა სამომხმარებლო კალათის ინდექსი გაიზრდება“, — ასე ეხმაურება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი სოლომონ პავლიაშვილი ეროვნული ვალუტის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. ამასთან, პავლიაშვილი ამბობს, რომ 2014 წლის დეკემბერში, ინფლაციამ 0,7 პოცენტი შეადგინა, რაც ძალიან დაბალია. „ახლა მთავარია, დევალვაცია ინფლაციაში არ გადაიზარდოს“, — აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი და აქცენტს ლარის გამყარების რამდენიმე „პროცედურაზე“ აკეთებს.

რა გავლენას ახდენს ლარის კურსზე „ბენზინის მაფია“

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: — იმპორტიორებმა დოლარი დევალვირებული ლარით უნდა იყიდონ, რითიც შემდეგ, უცხოეთში საქონელი უნდა შეიძინონ და ქვეყანაში შემოიტანონ. იმპორტიორები, ასე თუ ისე, ახერხებენ, რომ ფასები არ გაზარდონ, რადგან ისედაც მაღალი მარჟა აქვთ, ანუ უცხოეთში შესაძენ და აქ გასაყიდ ფასს შორის სხვაობა ისეც მაღალია და ამიტომ, ერთის მხრივ, კეთილ ნებას გამოხატავენ, მეორეს მხრივ კი, არ უნდათ, რომ მოსახლეობაში პანიკა ატეხონ და ბაზარი დაკარგონ.

— ბატონო სოლომონ, ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ლარი, მაქსიმუმ, 1,93 ნიშნულს არ ასცდებოდა, მაგრამ ეროვნულმა ვალუტამ ფსიქოლოგიური ზღვარი გადალახა...

— ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისუფლების პოზიციაა — უნდა განმარტოს, თუ რა ღონისძიების გატარებას აპირებს, რომ ლარის დევალვაცია ინფლაციაში არ გადაიზარდოს და ქვეყანაში ინფლაციური მოლოდინი არ გაჩნდეს. მოსახლეობაში პანიკას სწორედ ეს მოლოდინი იწვევს. ამიტომ, ხელისუფლება ამ საკითხზე ძალიან მტკიცე და შეუვალი უნდა იყოს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მთავრობის ინიციატივით, თებერვლიდან ექსპორტის წახალისების სპეციალური პროგრამა ამუშავდება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ რეგულაციებმა, რომლებიც მიგრაციასთან დაკავშირებით არსებობს, ხელი ტურიზმის განვითარებას არ შეუშალოს და, შესაბამისად, ქვეყანაში ფულის შემოსვლა არ შეფერხდეს. ყველაფერ ამის ფონზე კი, უმნიშვნელოა, თუ რა პოლიტიკას გაატარებს ეროვნული ბანკი.

ისე, იმის თქმა, რომ ეროვნულ ბანკს სწორი პოზიცია უკავია, სწორი არაა.

— რატომ?

— 2013-2014 წლებში, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებზე 775 მილიონი დოლარი შეისყიდა, 520 მილიონი კი გაყიდა, ანუ ბაზიდან, დაახლოებით, 260 მილიონი დოლარი ამოიღო, რამაც რეზერვები კი შეავსო, მაგრამ ხელი ლარის დევალვაციას შეუწყო და, გარკვეულად, დოლარის დეფიციტიც შექმნა.

— იმის თქმა გინდათ, რომ ეროვნულმა ბანკმა დოლარის დეფიციტი ხელოვნურად შექმნა?

— დიახ...

— ეს კარგია თუ ცუდი?

— რეზერვების გაზრდა, ერთის მხრივ, კარგია, მაგრამ მეორეს მხრივ, ეროვნულ ბანკს უნდა ეფიქრა, რომ ყველაფერ ამას გავლენა შესაძლოა, ლარის კურსზე მოეხდინა. მოკლედ, ეროვნულ ბანკს ოქროს შუალედი უნდა დაეჭირა.

— რატომ არ დაიჭირა?

— ამის დანამდვილებით თქმა არ შემიძლია, მაგრამ საქმე ალბათ, მართვის პრობლემებსა და არაპროფესიონალიზმთან გვაქვს. საერთოდ, ლარის დევალვაციის მიზეზები კომპლექსურად უნდა განვიხილოთ და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასულ წელს ექსპორტი 2 პროცენტით შემცირდა, იმპორტი კი, 7 პროცენტით გაიზარდა. იმპორტის გაზრდა, თავისთავად, დოლარის გადინების წახალისებას იწვევს.

— ექსპორტი რატომ შემცირდა?

— ეს წარმოების პრობლემაა...

ლარის კურსზე გავლენას ისიც ახენს, რომ ცეკვა-თამაშებს და კულტურულ ღონისძიებებს ისევ ბიუჯეტიდან აფინანსებენ. ვაუჩერებსაც ისევ არიგებენ. არადა, არ შეიძლება, ბიუჯეტი მთლიანად სოციალურ პროგრამად და კერძო სექტორების წახალისებად იყოს გადაქცეული. ზემოხსენებულ ღონისძიებებს სახელმწიფო მხოლოდ რადიკალურ შემთხვევებში უნდა ანხორციელებდეს და თუკი ყველაფერ ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ეროვნული ვალუტის დევალვაციურ და შემდეგ, ინფლაციურ პროცესებამდე მივყავართ... სხვათა შორის, 2014 წლის მონაცემებით, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 9 პროცენტია, რაც ძალიან ცოტაა და იმის შედეგია, რომ ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებები არ ხორციელდება... ერთი სიტყვით, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: დეფლაციის კი არა, ინფლაციის უნდა გვეშინოდეს. ეროვნული ბანკი დეფლაციას ეთამაშებოდა — მონეტარული პოლიტიკა შეარბილა და ხელი კრედიტების გაცემასაც შეუწყო: ჩემი ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კრედიტების გაცემა ლარში 60 პროცენტზე მეტით გაიზარდა, თან კრედიტები უმეტესად ლარშია გაცემული. შესაბამისად, ბაზარზე ლარის მასა გაიზარდა, რასაც დოლარის დეფიციტი მოჰყვა. აქ კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ჯერ არ მუშაობს: მსოფლიოში ნავთობის ფასი დაეცა და ბარელი უკვე 42 დოლარი ღირს. ესე იგი, ამ კუთხით იმპორტზე ნაკლები დოლარი იხარჯება, მაგრამ ამის კომპენსაცია არ ჩანს.

— ანუ, ლარზე უარყოფითად „ბენზინის მაფია“ მოქმედებს?

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია: იმპორტისთვის იმაზე ნაკლები დოლარი გვჭირდება, ვიდრე აქამდე გვჭირდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლარის დევალვაცია მაინც ხდება და ყველაფერ ამას გლობალური პრობლემებიც ემატება — ევროპაში ევროს მიმართ ლიბერალური პოლიტიკა ხორციელდება, რასაც აშშ დოლართან მიმართებაში არ აკეთებს. შესაბამისად, დოლარი ევროსთან მიმართებაშიც გამყარებულია. გვინდა თუ არა, სხვა ქვეყნებთან კავშირი მაინც გვაქვს, თან ჩვენი ძირითადი პარტნიორი თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანია. ჩვენს ეკონომიკაზე გავლენას სომხეთში მიმდინარე პროცესებიც ახდენს... ინვესტორები ყურადღებას ოპოზიციონერთა იმ განცხადებებსაც აქცევენ, რომელთაც უცხოეთში აკეთებენ, ანუ როცა ქვეყნის შიდა პოლიტიკური თამაშები გარეთ გადის, ეს ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს.

— ბატონო სოლომონ, თქვენი ინფორმაციით, ბოლო ორ წელში, ქვეყანაში რა რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა?

— მაგალითად, 2014 წელს ქვეყანაში მილიარდამდე ინვესტიცია შემოვიდა, რაც ცოტა ნამდვილად არაა, თუმცა ისეთი წლებიც გვახსოვს, მაგალითად, 2007 წელი, როცა ინვესტიციამ 2 მილიარდი შეადგინა. ასეა თუ ისე, მგონია, რომ ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის კორდინაცია სუსტია...

— ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ „პანორამა თბილისი“ ჩვენს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს. ასე რატომ ფიქრობთ?

— ნებისმიერი ინვესტიცია — „პანორამა თბილისი“ იქნება, ტერმინალის, ან ჰესის მშენებლობა, თუ ჩვენს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და რელიგიას არ ეხება, უნდა მივიღოთ და ინვესტიციების წარმოშობითაც არ უნდა დავინტერესდეთ... საერთოდ, ეკონომიკაში ღრმად მანამ უნდა წავიდეთ, ვიდრე ეკონომიკა პოლიტიკაში არ გადაიზრდება ანუ რამის სანაცვლოდ ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გავაღრმავოთ. აი, მაგალითად, დუბაიში მნიშვნელობა არ აქვს, პრეზიდენტი და პრემიერი ვინაა, მთავარი ეკონომიკური აღმავლობაა... მოკლედ, მთავარია, ფული შემოვიდეს და დამთავრდა — მეტი არაფერია საინტერესო! ჩვენ შუაგული ლიხტენშტეინი ან შვეიცარია არ ვართ, რომ ინვესტიციები ასარჩევად გვქონდეს!..

წეღან რეგულაციები ვახსენე და გამართლებულად არც მიწაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესება, აქციზის გაზრდა და ეკონომიკური ამნისტია მიმაჩნია. ე.წ. სახელმწიფო შპს-ების შექმნაც არასწორი ტენდენციაა, რაც რუსულ ეკონომიკურ პოლიტიკას ჰგავს და სახელმწიფოს მართვის სისუსტეზე მიანიშნებს, ოღონდ ამ პოლიტიკის გატარება ამ ხელისუფლებამ კი არა, „ნაციონალებმა“ დაიწყეს და დღესაც გრძელდება. თბილისის ახალ მერს ასზე მეტი სახელმწიფო შპს დახვდა...

— სახელმწიფო შპს-ების შექმნა არასწორი რატომაა?

— იმიტომ, რომ სახელმწიფო ფულს სახელმწიფო კომპანია იყენებს და თუკი ასეა, მაშინ ამ სახელმწიფო შპს-ებს მონაწილეობა პრივატიზაციაშიც მივაღებინოთ და სახელმწიფო ობიექტები ისევ სახელმწიფომ იყიდოს. ეს შპს-ები, ერთი შეხედვით, თითქოს რაღაც ხვრელების ამოვსებას ემსახურებიან. ავიღოთ, მაგალითად, ე.წ. მექანიზაციის სერვისები, რომლებმაც თავის დროზე კარგი საქმე გააკეთეს, მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ ეს ცენტრები ახლა კერძო კომპანიებმა მართონ? სახელმწიფო შპს-ებში დასაქმებულები, მიუხედავად იმისა, კომპანია მომგებიანია თუ არა, სახელმწიფოს ხარჯზე, ხელფასს მაინც იღებენ, ანუ ყველა სახელმწიფო შპს დასაქმებისა და თავშესაფრის ერთგვარ საშუალებად გადაიქცა, თან აქ ხალხს კონკურსის წესით არ იღებენ — კერძო კომპანიაა და ვისაც უნდა, იმას დაასაქმებს!.. 8 წელია, ვამბობ, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რაც საჭირო არაა. ეს ინსტიტუციონალური პრობლემაა და საჯარო ფუნქციები ზოგიერთ ისეთ კომპანიას აქვს დავალებული, რომელიც შეიძლება, შპს იყოს. ჯანდაცვის, ან ენერგეტიკის სამინისტროს შპს-სთან რა ხელი აქვს? წარმოიდგინეთ, როგორი ქაოსია. ამიტომ, მართვის საკითხი გადასახედია. სახელმწიფო მეწარმე და მეურნე კი არა, პოლიტიკის გამტარებელი უნდა იყოს! სხვათა შორის, ვიცი, რომ დავით ნარმანია მუნიციპალური საწარმოების ოპტიმიზაციას აპირებს. კონკურენტული გარემოს დამახინჯებაა, როცა სახელმწიფო სახელმწიფო კომპანიებს ახალისებს. მაგალითად, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებობს რამდენიმე პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებში აფინანსებს, კერძოში კი — არა.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოსა და მესაკუთრის ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს. ის, რაც მისი საქმე არაა, სახელმწიფომ არ უნდა გააკეთოს და პირიქით. მაგალითად, წინა მთავრობა საწვავს არიგებდა, ახალი მთავრობა კი — ვაუჩერებს, მაგრამ ეს მთავრობის საქმე არაა. ხელისუფლების საქმე სულ სხვა რამეა. საერთოდ, მთავრობის ყველა წევრსა და პარლამენტარს ვურჩევ, ისეთი ინიციატივით გამოვიდეს, რომ ამით მეორე საქმე არ გააფუჭოს. მათი ზოგიერთი გადაწყვეტილება პირდაპირ სადღეგრძელოს ჰგავს.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ე.წ. პარალელიზმია. ასე, მაგალითად, ეკონომიკურ საბჭოს თითქმის იგივე ფუნქციები აქვს, რაც მთავრობას და აქედან გამომდინარე, საინტერესოა, საბჭოში იდეების გენერაცია ხდება თუ არა. თუკი საბჭოს სხდომას მხოლოდ ეკონომიკური გუნდის მინისტრები, საინვესტიციო ფონდისა და რამდენიმე სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელობა ესწრება და განხილული საკითხების მთავრობაზე რეგისტრაცია ხდება, მაშინ ეს პარალელიზმი რა საჭიროა?

სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ, სოლომონ პავლიაშვილი, თბილისის მერ დავით ნარმანიასთან ერთად, ირლანდიაში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრები მსოფლიოში ცნობილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში — დუბლინის ტრინიტი კოლეჯში შეხვედრები გამართა. განიხილეს საკითხი, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტების სასწავლებლად დუბლინში გამგზავრების შესახებ. სოლომონ პავლიაშვილმა მსოფლიოში უძველესი კელტების ბიბლიოთეკა მოინახულა და იმ მოლაპარაკებებსაც დაესწრო, რომლებიც დავით ნარმანიამ ირლანდიელ კოლეგებთან ე.წ. ქალაქში საცობების მოგვარებაზე გამართა.

ᲡᲐᲑᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

14 № 4 (268) 28.I-3.II იანვარი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲣᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲠᲔᲡᲑᲚᲝᲒᲘ

ᲔᲡᲛᲔᲠᲐᲚᲓᲐᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ, ᲐᲜᲣ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲡ

მეტ-ნაკლებად, ალბათ, ბევრს ჰქონია ცხოვრებაში მომენტი, როცა ისეთ უკიდურეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩენილა, რომ აღარ იცის, რა გააკეთოს, საიდან და როგორ გადაჭრას პრობლემები. უფრო გასაგები რომ იყოს, დავწვრილმანდები; გადაიხადე ელეტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, გაზის, ინტერნეტის ფული და აღმოჩნდა, რომ მთელი ხელფასი ამაზე წავიდა. ხელფასი კი, საშუალოზე დაბალი გაქვს – „კომუნალურებსაც“ ძლივს ეყო, მაგრამ მაინც გიხარია, თუმც... სიხარული მაშინვე ქრება, როგორც კი აღმოაჩენ, რომ მაცივარი ცარიელია. ერთი სიტყვით, სახლში აღარაფერია (საკვები მაქვს მხედველობაში) და როგორ უნდა მოიქცე ასეთ დროს? ვარიანტები: მეგობარს, ან მეზობელს ესესხო ფული, ლომბარდში რამე ჩააბარო (ეს უკვე გაკეთებული გაქვს), ფულის სესხება კი, არ გინდა და ფიქრობ, რა ქნა... თვალში კობალტის ორი მინიატურული ჩინური ვაზა მომხვდა, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ პომპეზურად მაჩუქა მეგობარმა. დავავლე ხელი და მშრალ ხიდზე გავვარდი იმ იმედით, რომ თუ კარგ თანხას არა, იმდენს მაინც ავიღებდი, რომ პური, შაქარი, ზეთი, ცოტაოდენი კარტოფილი, ყავა და სიგარეტი მეყიდა. „იმედი საწყალი კაცის მეორე სულიაო“, რომ თქვა გოეთემ, ცამდე მართალი ყოფილა. მისი სიტყვები მაშინ გამახსენდა, როცა ჩემი ჩინური ვაზებისა და, მათთან ერთად, მეგობრის (რომელსაც თაყვანისმცემლობაზეც ჰქონდა დიდი პრეტენზია) საბაზრო ფასი ერთ ყუთ იაფფასიან სიგარეტზე მეტი არ აღმოჩნდა. ვერ ვიტყვი, გული დამწყდა-მეთქი, უბრალოდ, გამეცინა. იქვე, ბაღში, სკამზე ჩამოვჯექი, სიგარეტი გავაბოლე და ფიქრებს მივყევი... იმაში, რაც ზემოთ ვთქვი, საინტერესო, რა თქმა უნდა, არაფერია და არც დავწერდი, რომ არა, ვინ ვინ და, – ესმერალდა.

ᲔᲡᲛᲔᲠᲐᲚᲓᲐ

თავდაპირველად, სახელმა ესმერალდამ ჩემში უნებური ღიმილი გამოიწვია, მაგრამ როცა ესმერალდამ „ეეეჰ“-ო თქვა და სული და გული ამოაყოლა, დავინტერესდი.

მოკლედ: წიგნებია გამოფენილი, იქვე მძივები, ბეჭდები, საყურეები, „ბროშკები“, ჭურჭელი და ათასი სხვა წვრილმანია, ანუ მეორადი სუპერმარკეტია გახსნილი. ზის ორმოცდაათ წლამდე ფუმფულა ქალი, რაღაცნაირ ძველ პალტოში შეფუთნული, ხელით ნაქსოვი, ბისერებიანი, ჭრელი ბერეტი ახურავს, სავსე ღაჟღაჟა სახე აქვს, წამწამებზე სქლად ადევს ტუში, ხასხასა წითელი პომადა – ტუჩებზე და ფერად-ფერადი ბეჭდები – სიცივისაგან გალურჯებულ კოტიტა თითებზე.

წიგნებს ვათვალიერებ და ვგრძნობ, ბერეტიანი გამყიდველი ინტერესით მადევნებს თვალს.

რამე წიგნს ეძებთ? – მეკითხება.

ავხედე. მიღიმის.

– არა, ისე, ვათვალიერებ, – ცოტა არ იყოს, დაბნეულად ვპასუხობ.

– წიგნების ჩაბარება ხომ არ გინდათ? – მის ტონსა და ღიმილში თანაგრძნობა დავიჭირე. თავი, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი, რადგან არც წიგნის ყიდვას ვაპირებდი, არც ჩაბარებაზე მიფიქრია და არც ვიცოდი, რაზე ვფიქრობდი.

– თუ ჩაბარება გინდათ, ავიღებ, ოღონდ ქართული წიგნები, რუსულს აღარ ყიდულობენ. ქართველი, უცხოელი კლასიკოსები, დეტექტივები, სათავგადასავლო და საბავშვო ლიტერატურა მოიტანეთ, რამდენსაც შეძლებთ და ერთიანად გადაგიხდით, კმაყოფილი დარჩებით, – თანამგრძნობი ღიმილი არ შორდება ბერეტიან გამყიდველს.

– რატომაც არა-მეთქი, – გავიფიქრე, – რამდენიმეს შევარჩევ სახლში... წიგნები კარგად გეყიდებათ? – ვეკითხები.

– იაფია და ვისაც კითხვა უყვარს, ყიდულობს. წლებია, წიგნებს ვყიდი და ვიცი, ეს ბიზნესი. ჩემს ტელეფონს მოგცემთ, შეარჩიეთ და საღამოს დამირეკეთ, რომ ზედმეტი წიგნი არ ატაროთ, წიგნები მძიმეა, – ისევ გამიღიმა ბერეტიანმა,

ტელეფონის ნომერი მიკარნახა და ესმერალდა მქვიაო, მითხრა.

– ესმერალდა?! – გავიმეორე მისი სახელი, უნებურად გამეცინა და შემრცხვა.

– რა ვქნა, არ ვგავარ, თუ...? – ესმერალდასაც გაეცინა და „ეეეეჰ“-ო დააყოლა.

წიგნები შევარჩიე, დავურეკე, შევთანხმდით და... გავეშურე. ესმერალდამ იმაზე გაცილებით მეტი გადამიხადა, ვიდრე ველოდი და დააყოლა, ამდენს არ ვაძლევ ხოლმე, თქვენ ისეთი ქალბატონი ბრძანდებით, რომ...

– როგორი? – ირონიულად ვეკითხები.

– უბრალო არ ხართ, ერთ გმირს მაგონებთ რომანიდან, – ესმერალდამ წარბი ასწია, – ფიონას... ალბათ, თქვენნაირი იყო ახალგაზრდობაში. არ ვიცი, წაკითხული გაქვთ თუ არა კოლინ მაკალოუს „კვრინჩხებში მომღერალნი“.

ცოტა არ იყოს, გული დამწყდა, რადგან ფიონა არცთუ დადებითი პერსონაჟია – მოწიფული ქალია რომანში და... დიდმა სიყვარულმა ძალიან თამამი ნაბიჯი გადაადგმევინა. როგორც ჩანს, ბერეტიან ესმერალდას საკმაოზე მეტად ბობოქარი ფანტაზიები აქვს, რადგან ფიონას შემადარა...

ის იყო, წასვლა დავაპირე, მითხრა:

– „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, „ჯეინ ეარი“, „ნაზია ღამე“ ხომ არ გაქვთ, კარგად გადაგიხდით...

არა-მეთქი და ფილოსოფოსების წიგნები ჩამოვუთვალე. კიდევ – შექსპირის სონეტები ინგლისურად, „დონ კიხოტი“ ესპანურად, რილკე გერმანულად და ბევრი სხვა, მაგრამ არ მგონია, გავიმეტო-მეთქი...

ესმერალდამ თვალები მოჭუტა და დაიწყო: ჯერ ესპანურად დაილაპარაკა (ათიოდე სიტყვა თქვა, ალბათ):

– ასე იწყება „დონ კიხოტი“ ესპანურად, მაგრამ ესპანური არ ვიცი, მხოლოდ სამასამდე სიტყვა...

მერე ინგლისურად მითხრა შექსპირის ერთ-ერთი სონეტი, თან გამოთქმით და დააყოლა, ჩემი საყვარელი სონეტია, მაგრამ არც ინგლისური ვიცი, აბსოლუტური სმენა მაქვს და ლექსები ადვილად მამახსოვრდება – ჩემი ძმისშვილი სტუდენტია, „ინგლისურს“ ამთავრებს, ვაკითხებ ხოლმე... პოეზიით ვარ გატაცებული და მაინტერესებს, პოეტის ენაზე როგორ ჟღერს ლექსი. რილკე განსაკუთრებულად მიყვარს, მოდერნისტები და პოსტმოდერნისტებიც... საახლობლოში არავინ მყავს გერმანისტი, რომ რილკე გერმანულად მოვისმინოო.

ამ უცნაურმა ქალმა დამაინტერესა და შევყოვნდი. ესმერალდას სახე გაუბრწყინდა, დატუშულ თვალებს აფახულებს და გატაცებით ლაპარაკობს. ჩამოთვალა მოდერნისტი პოეტები და მწერლები, შემდეგ – პოსტმოდერნისტები, ზოგი დადებითად შეაფასა, ზოგიც – გააკრიტიკა. მოჰყავდა მაგალითები, ავლებდა პარალელებს. ბევრი ისეთი ავტორი დაასახელა, რომელთაც არ ვიცნობდი. თანამედროვე ქართველ და უცხოელ მწერლებსაც შეეხო, ზოგს კარგად, ზოგსაც – არცთუ. ბოლოს კი აღნიშნა, რომ ფილოსოფიაც ძალიან იტაცებს და მინი-ლექცია სოკრატეს ცნობილი ბრძნული გამონათქვამით დააგვირგვინა: „არსებობს მხოლოდ ორი რამ – ცოდნა და უმეცრება, პირველი სიკეთეა, მეორე – ბოროტება“. ხომ ეთანხმებით?

რა თქმა უნდა-მეთქი, ვპასუხობ და მინდა, ვკითხო, პროფესიით ვინაა, მაგრამ ისეთი პათოსით გადადის ფილოსოფიაზე, რომ სიტყვას ვერ ვუგდებ:

– რამდენიმე კითხვაში ამოვწურავდი მთელ ფილოსოფიას, ანტიკურიდან დაწყებული დღემდე, ამ შეკითხვებს პასუხი ერთმა ფილოსოფოსმაც ვერ გასცა და მგონია, რომ კიდევ დიდხანს ვერ გასცემენ. გაინტერესებთ, რა კითხვებია?

თავი დავუქნიე. ესმერალდა აგრძელებს:

– სამყაროსა და ადამიანის ერთიანობასა და პრობლემებს, აგრეთვე, პიროვნული თავისუფლების იდეებსა და პრობლემებს ყველა ეპოქა თავისი ცოდნის დონითა და კულტურული თავისებურებით ხსნის, მაგრამ მარადიულ შეკითხვებს – ვინ ვარ და რა ვარ? რა არის ჭეშმარიტება? რას წარმოადგენს ადამიანი? რა არის სული? რა არის სამყარო? რა არის სიცოცხლე და რაშია სიცოცხლის აზრი? – ვერ პასუხობს. ბოლო შეკითხვის პასუხი მე ვიცი. მე ვიცი, რაშია სიცოცხლის აზრი, – ესმერალდამ წარბი აწია, – ჰარმონიაში!

მოხიბლული ვარ ესმერალდათი, მონუსხულიც და უფრო მეტად მაინტერესებს, პროფესიით ვინაა, რადგან ვხვდები, რომ არც ფილოსოფოსია და არც – ლიტერატურათმცოდნე. ის-ის იყო, უნდა ვკითხო, რომ თავად მეუბნება:

– მუსიკოსი ვარ, კონსერვატორია მაქვს დამთავრებული. ცხოვრება მშვენიერია, როცა იცი, რომ სიცოცხლის აზრი ჰარმონიაშია! – ამაყად ამბობს და აგრძელებს, – მუსიკის ხელოვნებაში ჰარმონია ყველაზე მთავარია და მისი ძირითადი თვისება კეთილხმოვანებაა. დისონანსი, კონსონანსი, კლასტერი – სამივე ერთმანეთისაგან კოორდინალურად განსხვავებული ხმოვანებაა, მაგრამ მთლიანობაში, ჰარმონიის შემადგენელია. დისონანსი ყურს სჭრის და თითქოს უსიამო მოსასმენია, მაგრამ ამავდროულად, აძლიერებს ჰარმონიის გამომსახველობას. კონსონანსი მშვიდი და სასიამოვნო ჰანგებია. კლასტერი კი, ერთგვარი „ხმაურიანი ლაქაა“ ჰარმონიაში, რომელიც რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ერთდროული ჟღერადობით წარმოიქმნება. ცხოვრებაც ხომ ასეთია?! მწერლები სიცოცხლის ჰარმონიას სიტყვებით გამოხატავენ, მხატვრები – ფერით, – ესმერალდა შთაგონებული სახით მიყურებს, – ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, ასეა, – ვპასუხობ და გულის სიღრმეში ვფიქრობ, რომ ესმერალდამ, მგონი, ჭეშმარიტების პასუხი აღმოაჩინა.

ვემშვიდობები მუსიკოსს, ფილოსოფოსს, ლიტერატურათმცოდნეს და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის მცოდნეს და ვეკითხები, ქმარ-შვილი თუ გყავს-მეთქი.

გაუთხოვარი დავრჩიო, განა არ მეტყობაო, – მეუბნება.

– ძმისშვილები გავზარდე, ორი ექიმია, ერთი – სტუდენტი, – თქვა და თავისი „ეეეჰ“ დააყოლა.

– ეეეჰ რატომ? – დავინტერესდი.

– ეეეჰ იმიტომ, რომ ქალიშვილად დავრჩი... გამოიარე, რა, კიდევ, ვილაპარაკოთ, – ესმერალდამ დატუშული წამწამები დააფახულა, ბერეტი შეისწორა და შევამჩნიე, რომ ყურიდან ყელის ჩათვლით, დიდი მოლურჯო-მეწამული ლაქა ჰქონდა...

ეჰ, ესმერალდა...

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲙᲐᲮᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

15

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲔᲥᲡᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲐᲛ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲜᲐ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲔᲗᲘᲓᲐᲜ – ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲦᲐᲛᲔ ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲐ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ

მეტრო მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და სწრაფი ტრანსპორტია... მეტროში, რომელიც მინისქვეშეთის სამყაროა, მუდამ ხალხმრავლობაა. აქ მხოლოდ ყველა კატეგორიის ხალხს კი არ შეხვდებით, არამედ, იმასაც გაიგებთ, მოსახლეობას რეალურად რა აწუხებს... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, „ქართული სიტყვა“ გთავაზობთ რეპორტაჟს მიწისქვეშეთიდან...

მეტროსადგური „ვაგზლის მოედანი“... გეზს ფორმიანი ქალბატონისკენ ვიღებ, რომელიც ჩემი გუმანით, მეტროპოლიტენის თანამშრომელი უნდა იყოს.

– დიახ, თანამშრომელი ვარ, – ღიმილით მეუბნება და მეცნობა, – მე ციალა მქვია, 54 წლის ვარ...

– აქ ყოველთვის უამრავი ხალხია. მუშაობა არ გიჭირთ?

– დღისით არა უშავს: ხალხი სამსახურში მიდის, ან სხვა საქმეზე. საღამოს კი, ბევრი ალკოჰოლიკია... მათხოვრებზე აღარაფერს ვამბობ: ფრთხილად თუ არ იქნები, ჩანთას ისე გამოგგლეჯენ, ვერც გაიგებ.

– მათხოვრებს პატრულის არ ეშინიათ?

– პატრული ფეხის ყოველ ნაბიჯზე ვერ იდგება, თორემ ისე, რასაკვირველია, წესრიგს იცავს... მეტროსადგურებთან მუდამ ბევრი ადამიანია: ზოგი უსახლკაროა და ღამის გასათევს ეძებს, ზოგი ბინას ყიდის, ზოგიც – სხეულს. მოკლედ, აქ ყველა რაღაცას ყიდის, არჩევანი დიდია (იცინის).

– ისე, ბოლო დროს მეტროში სუიციდის ფაქტები გახშირდა... ამას რითი ხსნით?

– აბა, რა გითხრათ?! ცხოვრება გაჭირდა, შვილო, ბევრი დახეული ტანსაცმლით დადის, ზოგს საჭმლის ფული არ აქვს, ზოგს კი, ბანკის ვალი ახრჩობს. ორი დღის წინ, ერთი ქალი ლიანდაგებში ჩახტა, მაგრამ მალევე ამოიყვანეს – თავის მოკვლა არ გამოუვიდა...

– ქალბატონო ციალა, უსახლკაროები ღამეს მეტროშიც ათევენ?

- კი... რამდენიმე უსახლკარო გვყავს შემოჩვეული. ერთი ლოთია – თავზე ტომარას ჩამოიცვამს და იქ იძინებს, სადაც მოუხერხდება... ერთს ვკითხე, თავშესაფარში რატომ არ მიდიხარ-მეთქი და მიპასუხა, კარვებში ადგილი აღარაა, თან ცივა და იქაურ საჭმელს, მირჩევნია, ისევ ხმელი პური ვჭამოო. თავშესაფრებში მხოლოდ ვერმიშელსა და წყალწყალა სუპს აჭმევენ, თურმე. ღუმელი კი დგას, მაგრამ ბოლავს და ხალხი ვერ სუნთქავს... 200 ადამიანზე ერთი ტუალეტი ყოფილა და, თურმე, ისეთი სიბინძურეა, ცხვირსაც ვერ შეყოფ. ამიტომ, ბევრი ღამეს ისევ ქუჩაში ათევს... ამ გაჭირვებულ ხალხს საშველი არ დაადგა.

ქალბატონ ციალას გამოვემშვიდობე და მეტროდან ამოვედი...

მსუბუქი ყოფაქცევის დიაცთა სიმრავლეა... თითქმის ყველას ერთნაირად აცვია: მოკლე კაბა, დეკოლტე... მამაკაცთა ყურადღების მიქცევას „ერთი ტონა“ მაკიაჟით, წითელი პომადითა და საღეჭი რეზინის „ღლაჭუნით“ ცდილობენ, მაგრამ აშკარად, კლიენტის ნაკლებობაა – ასეა: ევროპისკენ მივილტვით და „ამ საქმეშიც“ ევროპული მომსახურება მკვიდრდება... როგორც ჩანს, ჩვენებური სექსმუშაკები ეროვნული ვალუტის ბედს იზიარებენ...

ვაგზლის მოედანზე ვის აღარ ნახავთ – მძღოლებს, მოვაჭრეებს, უსაქმურებს, თაღლითებს... მოკლედ, აქ სრული ქაოსი და ყაყანია. აგერ, ორი მოვაჭრე ჩხუბობს – ერთმანეთს უშვერი სიტყვებით ამკობენ... უცნობი ქალბატონი მიახლოვდება და მეკითხება, ბინას ხომ არ ეძებო.

– დიახ, როგორ მიხვდით? – ვპასუხობ.

– შემოგხედე თუ არა, ეგრევე მივხვდი, რომ ღამის გასათევი გინდა...

– ერთი ღამე რა დამიჯდება? – ვინტერესდები.

– არ მგონია, ბინა შენთვის გინდოდეს, – უკმეხად მპასუხობს უცნობი.

– მართალი ხართ: ღამის გასათევს ახლობლისთვის ვეძებ.

– კარგი მაშინ... რამდენიმე ვარიანტი მაქვს, მაგრამ უნდა ვიცოდე, რამდენი სულია და რა მიზნით უნდათ?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, გადამხდელია...

– აი, რატომ გკითხე, იცი? – მძღოლები მოდიან და საზიზღარი ბოზი ქალები მიჰყავთ... ერთი საათით უნდათ მარტო და ვერიდები მასეთების ბინაში შეშვებას – მერე, მეზობლები მემდურებიან. ბინები ჩემი არ გეგონოს – მაკლერი ვარ... ფასები ყველანაირია, გააჩნია მდებარეობას და რემონტს.

– მაინც არ მეუბნებით, ბინის ერთი დღით დაქირავება რამდენი დამიჯდება?

– ყველაზე იაფი – 10 ლარი, თუ 1-2 საათით გჭირდება. ისე, მთელი ღამე 20-30 ლარი ღირს – ასეთი ბინა ბარაკული სტილისაა და პატარა ოთახია. ყველაზე ხშირად სოფლიდან ჩამოსული ვაჭრები ქირაობენ. ჰოდა, შეღავათს ვუწევ, რა ვქნა, აბა, – მეც კაპიკები მრჩება, თორემ ამ სიცივეში მთელი დღე აქ დგომა კი არ მეხალისება?

– ყველაზე კარგი ბინა რა ღირს?

– 50-70 ლარია, მაგრამ მაგის კლიენტები აქ არ მოდიან. ვისაც ფული აქვს და კომფორტი უნდა, სასტუმროში წავა... ისე, რას გაიგებ, ვის რისთვის სჭირდება ბინა – ზოგი არ მეუბნება... ამ ბოზ ქალებს უარს ვეუბნები – ათას კაცთან წვანან და სადაც მივლენ, იქ რამე ავადმყოფობას დატოვებენ, საშარო თავი არ მაქვს. არ მინდა, ვინმემ დამწყევლოს, ისედაც ჩემი გაჭირვება მყოფნის.

– კონკურენცია დიდია?

– კი... მე თუ კლიენტს ველაპარაკები, შეიძლება, უცებ სხვა მივარდეს და უთხრას, მე უფრო იაფად მოგაქირავებო. ამაზე ვბრაზდები... ხშირად ვჩხუბობთ კიდეც – რა წესია, კლიენტს რომ ცხვირწინ მაცლის? ჩვენთან უმეტესად ღარიბები მოდიან და წუწუნებენ, დაგვიკელითო. ეჰ, რამდენჯერმე შემცოდებია და ბინაში 10 ლარადაც გამიშვია... რაც დოლარის კურსმა მოიმატა, ბინებიც გაძვირდა... ახლა მითხარი, შენს ახლობელს როგორი ბინა უნდა, ოღონდ შენც სხვა მაკლერთან არ მიხვიდე – ამდენი ტყუილად ხომ არ გელაპარაკე?!

ენაწყლიან თანამოსაუბრეს ტელეფონის ნომერი გამოვართვი და დავპირდი, რომ აუცილებლად დავურეკავდი...

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ

ᲡᲢᲝᲞᲙᲐᲓᲠᲘ

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ „ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲨᲣᲥᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში, საქართველოს შსს-ს 112-ის დეპარტამენტის ანალიტიკური სამსახურისა და თბილისის მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებმა ე.წ. „ჭკვიანი შუქნიშნების“ თემაზე პრეზენტაცია გამართეს და დეპუტატებს სატრანსპორტო პრობლემების აღმოფხვრის პროექტები წარუდგინეს. შეხვედრა, რომელსაც თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციაში, 112-ის მისიის, სტატისტიკის, ახალი სერვისებისა და სამომავლო გეგმების შესახებ იყო საუბარი. ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, ქართველი პროგრამისტების მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური ელექტრონული სისტემა – ERC 112, რომელიც მაღალტექნოლოგიური ცენტრის მისიისა და ძირითადი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების გარანტიაა.

თბილისის მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის უფროსის, პაატა ჯაჭვლიანის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია კი, საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესებას, გზებზე უსაფრთხოების გაუმჯობესებას, ე.წ. „ჭკვიანი შუქნიშნების“ სისტემაში მოყვანას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებით, საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაა.

„მივესალმები, რომ ამ მიმართულებით კონკრეტული და ქმედითუნარიანი ნაბიჯები იდგმება. ამჟამად ქსელში 81 შუქნიშანია ჩართული. მარტში მათ რიცხვს 40, ხოლო წლის ბოლოსათვის კი 35 ჭკვიანი შუქნიშანი დაემატება. ეს თბილისელებს იმ პრობლემებს შეუმსუბუქებს, რომლებიც საცობებთან და არა მხოლოდ საცობებთანაა დაკავშირებული“, – აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილის, თამარ ტალიაშვილის განცხადებით, 2013 წელს საქართველოს შსს-ს 112-ის დეპარტამენტში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, რის შედეგადაც საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი „ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციაში“ გაწევრიანდა.

სატრანსპორტო პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია, კვლავ განაგრძობს კოორდინირებულ თანამშრომლობას, როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრთან, ასევე, თბილისის მერიის შესაბამის სამსახურთანაც.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

„ქართველი ტალანტები მსოფლიოს“ – ასე ჰქვია სიმღერისა და ცეკვის კონკურსს, რომლის ორგანიზატორებიც კულტურის, განათლებისა და ბიზნესის საერთაშორისო ცენტრი „საქართველო“ და კლუბი PALLADIUM HOUSE არიან, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, კონკურსში მონაწილეობის მიღება 18 წლამდე ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ასევე, შეუზღუდავია სიმღერისა და ცეკვის რეპერტუარი და ჟანრი.

„კონკურსის მიზანია, მსოფლიომ გაიცნოს ახალგაზრდა ქართველი ხელოვანები“, – აცხადებენ ორგანიზატორები, რომელთა თქმითაც, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მონაწილეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე იქნებიან წარდგენილნი.

ორგანიზატორთა თქმითვე, მათ კავშირი აქვთ „გოლოს რასიი“-ს, „ზალატოი გოლოს რასიი“-ს, ასევე, უკრაინის, ბელორუსის, სომხეთის, ბულგარეთის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხეთის და პოლონეთის მსგავსი კონკურსების საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტებთან, რომელთაც კონკურსის გალა-კონცერტზე გადაღებული ტელე და ფოტომასალა გაეგზავნებათ.

„ქართველი ტალანტები მსოფლიოს“ პოლიტიკისგან თავისუფალი კონკურსია და მონაწილეებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს, რომელიც ქართული ესტრადისა და კულტურის ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული“, – აცხადებენ ორგანიზატორები.

მათივე თქმით, კონკურსში მონაწილეობის მსურველებს 100 ლარის გადახდა მოუწევთ, რაც საორგანიზაციო მოსაკრებელია, თუმცა ეს, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, მსგავს კონკურსებსა და ფესტივალებში აპრობირებული მეთოდია.

„ქართველი ტალანტები მსოფლიოს“ ტრადიციულ სახეს მიიღებს და წელიწადში სამჯერ გაიმართება: პირველი ეტაპი 18 წლამდე, მეორე ეტაპი 18-დან 30 წლამდე, მესამე ეტაპი კი, 30 წლიდან შეუზღუდავი ასაკისთვისაა.

ასე რომ, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მსურველებს შეგიძლიათ, ყოველ დღე 14-დან 21-საათამდე მიმართოთ კლუბ PALLADIUM HOUS-ს (მის.: თბილისი, ბახტრიონის ქუჩა №22 ა, მე-3 სართული. ტელ.: 568 76 14 33)

16 № 4 (268) 28.I-3.II იანვარი 2015

ქართული ენა

ლიტერატურა. ენალიჭნე�sა. ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ჩვენებურები

მხატვარი, რომელიც ბედისწერამ სამშობლოს მოაშორა

მხატვარი დარიკო ბერიძე სოციალური ქსელით გავიცანი. მოგვიანებით, ქალაქ პუშკინოში, ცარსკოე სელოში ვეწვიე, დიდხანს ვისაუბრეთ. დარიკოს პერსონაჟები საოცარ ნოსტალგიას ბადებენ – ეს განცდა მის ხმაშიც ვიგრძენი. მხატვარი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამბებს ისეთი საოცარი სიმშვიდით მიყვებოდა, როგორც მორწმუნე, ბედსმინდობილ და სხვათა განკითხვა-განქიქებას მიუჩვეველ ადამიანებს ახასიათებთ. არა, დარიკო არაფერს ნანობს, უბრალოდ, ბედისწერამ მიიყვანა იქ, შორეულ ქვეყანაში, მსოფლიო ქალაქ-მუზეუმში, ხელოვნებისა და კულტურის უდიდეს ცენტრში – სანკტ-პეტერბურგში... პუშკინოში, კარის ზღურბლზე ქართული სიმღერა შემომესმა, მერე, ქალბატონი დარიკოს ატირებული სახეც დავინახე. ასეთ შეხვედრას არ ველოდი... ისეთი განცდა დამეუფლა, უცხო ქვეყანაში, უცხო ქალაქში, უცხო ბინაში, ჩემთან ერთად, თითქოს საქართველომ შეაბიჯა. ,,ოცდაოთხი წელია, შინ არ ვყოფილვარ“, – მითხრა დარიკომ და როცა მისი ნახატები დავათვალიერე, მივხვდი, რომ სამშობლოს არასოდეს დაშორებია: სვანური კოშკები, იმერეთის ბაღჩა-ბაღები, ბებოს ნახელავი ჩურჩხელები, დედასთან ერთად მწვანე მინდვრებში სეირნობა, მდელოზე, მეგობრებთან ერთად თამაში და სიზმრები, სიზმრები, სადაც ბავშვობა ცოცხლდება. ,,დარეჯან ბერიძის სახვით შემოქმედებაში იმდენი გულწრფელობაა და იმდენად პოეტურია, რომ მასთან ყოველი ახალი შეხვედრა პირველხილვის სიხარულს იწვევს. ამ შთაბეჭდილებას გვიქმნის ხელოვანის უაღრესად გულახდილი და ორიგინალური სახვითი აზროვნება. მის ნამუშევრებში იგრძნობა ერთგვარი თეატრალური იდუმალება და რომანტიკა, სადაც პირობითი ჰარმონიულად თანაარსებობს რეალურთან. მხატვარი ძალდაუტანებლად ახერხებს უშუალობისა და პროფესიონალიზმის ურთიერთშერწყმას, რაც ძირითადად ფერით ნიუანსებში ვლინდება. სწორედ ფერთა შეხამებაში მოჩანს მხატვრის პროფესიონალური სითამამე, მისი ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ალღო და დახვეწილი გემოვნება“, – ასე აფასებენ ხელოვნებათმცოდნეები დარეჯან ბერიძის შემოქმედებას... ნიჭიერმა ქართველმა მხატვარმა უდიდესი წარმატება მოიპოვა რუსული კულტურისა და ხელოვნების მექაში – სანკტ-პეტერბურგში, სადაც მისი ხუთი პერსონალური გამოფენა მოეწყო. საქართველოში გამართული პირველი გამოფენის შემდეგ კი, თბილისის საზეიმო რიტუალების სასახლის ერთ-ერთ გამფორმებლად მიიწვიეს. 1985 წელს, ლენინგრადისა და ტალინის დეკორატიული ქსოვილების გამოფენაზე, დარეჯანის ნამუშევრებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. 1986 წელს, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის საგამოფენო დარბაზ ,,ფიროსმანში“ მხატვრის 350 ნამუშევარი იყო წარდგენილი – ფერწერა, გრაფიკა, ქსოვილები, კერამიკა. გამოფენამ, რომელსაც ,,გზა შინისაკენ“ ერქვა, საქართველოს ბევრი ქალაქი მოიარა. აღსანიშნავია, რომ ქართულ მუზეუმებს შესყიდული აქვთ დარეჯანის გრაფიკის, ფერწერისა და დაზგური ხელოვნების ნიმუშები.

დარიკო ბერიძის ნოსტალგიური შემოქმედება

დარიკო ბერიძე: – 1943 წლის 26 აპრილს, თბილისში, დილით ადრე, შავნაწნავიან, მოკრძალებულ ახალგაზრდა ქალსა და ექსტრავაგანტურ მამაკაცს ცისფერთვალა ქალიშვილი შეეძინათ – ეს მე ვიყავი, მშობლების ერთადერთი და გვიანი პირმშო. დედას რძესთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, სუსტად იყო, მამა მსახურობდა. ორი კვირის შემდეგ, შინ ბებია მოიყვანეს და როცა ხელში ამიყვანა, პირველად, თურმე მაშინ, გავიღიმე. მას მერე ახლობელი ადამიანის დანახვისთანავე ჩემი სახე სინათლით ივსება. სამოცდაათს გადავაბიჯე, მაგრამ სულში არაფერი შეცვლილა.

წყნარი და მშვიდი ბავშვი ვიყავი, ვხატავდი, როგორც ყველა ბავშვი. ერთხელაც, მამიდა მაშიკომ ხელი მომკიდა და ჩვენს შორეულ ნათესავთან, უჩა ჯაფარიძესთან წამიყვანა, რომელმაც ჩემი ბავშვური ნახატები დაათვალიერა და მამიდას უთხრა, დაე, ხატოსო... ასე გადაწყდა ჩემი ბედი... 51-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯერ გურამ ქუთათელაძესთან დავდიოდი. მერე კი, სამხატვრო აკადემიაში, დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტზე ჩავაბარე... ბედმა ლენინგრადში მომახვედრა: ჩემი მომავალი მეუღლე, იური მატროსოვი თბილისში ნათესავს, მშვენიერ ქალბატონ ელენე ციციშვილს სტუმრობდა. იურის დედა, ელეონორა ჩიქოვანი თავადის ქალი გახლდათ. ერთმანეთი გავიცანით, სიყვარული გვეწვია და... სიყვარულს ფეხდაფეხ გავყევი. ლენინგრადის მუხინას სახელობის უმაღლეს სამხატვრო საწარმოო სასწავლებლის დეკორატიული ქსოვილების ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ნატურით არასოდეს დამიხატავს, მხოლოდ – წარმოსახვით, ან მოგონებით. არც სხვა მხატვრის გავლენის ქვეშ მოვქცეულვარ, სხვისგან დეტალიც კი არ ამიღია და არც გავმეორებულვარ.

1969 წელს, სადიპლომო ნაშრომით – ,,დეკორატიული ქსოვილები საზოგადოებრივ ინტერიერებში“ – მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაში მივიღე და სიგელიც დავიმსახურე. 1969-1976 წლებში, ლენინგრადის საგალანტერიო ქსოვილების გაერთიანება ,,სევერში“ მხატვრად ვმუშაობდი. შემდეგ, – ლენინგრადის დეკორატიული ხელოვნების კომბინატში. 1978 წელს, ლიპეცკის საერთაშორისო პიონერთა ბანაკ „პრომეთეს“ კედლების მოხატვა შემომთავაზეს. ზუსტად ორი წელი ვიმუშავე. ეს იყო ყველაფრის დასაწყისი. 1980 წელს, დეკორატიული ქსოვილების მოხატვა დავიწყე. იმავე წელს „ოლიმპიადა-80“-ის მხატვრული გაფორმებისთვის, სსრკ მხატვართა გამგეობის საპატიო სიგელით დავჯილდოვდი... რუსეთის ფედერაციის მხატვართა კავშირის წევრიც ვარ.

1991 წელს, რუსეთის მხატვართა კავშირის სააქტო დარბაზის ფარდაზე შეკვეთა მივიღე, მაშინ ასეთი დაკვეთა პრესტიჟული და სასიამოვნოც იყო. მართალია, მუშაობა მძიმე პირობებში მიხდებოდა, მაგრამ ვადაზე ადრე – ოც დღეში ყველაფერი მზად მქონდა. მერე, წლების განმავლობაში, კულისებს მიღმა ჩურჩულებდნენ, რომ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე მიხაილ ანიკუშინს პრეზიდიუმში ჯდომა არ უყვარდა, რადგან დარბაზში მსხდომნი მას კი არა, ფარდას შესცქეროდნენ.

1979 წელს, ლენინგრადში ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა შედგა.

1979-დან 2008 წლამდე, სულ 35 პერსონალური გამოფენა მქონდა, აქედან, ყველაზე პატარა სმოლნში იყო, ყველაზე დიდი – თბილისში, ბორის ძნელაძეში, ფიროსმანის დარბაზში, სადაც 350 ნამუშევარი გამოიფინა. ჩემს გამოფენაზე ხშირად მოდიოდა რეზო თაბუკაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბმა კი, ჩემს გამოფენაზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ეს ნამუშევარი, როგორც საუკეთესო, საქართველოს ქრონიკაში შევიდა. ეს 1986 წელს მოხდა...

საქართველოში ახლობელთაგან არავინ შემომრჩა, სამშობლოსთან მხოლოდ მოგონებები მაკავშირებს. 2011 წელს, ალბომი – ,,ჩემი სამშობლო“ დავასრულე, რომელსაც ათი წელი ვქმნიდი. ხშირად ვხატავ სვანეთის მთებს...

მურმანსკში, სახელმწიფო მუზეუმში, ზაურ ცხადაიასთან ერთად, პერსონალური გამოფენა მქონდა, რომელიც ქართველი მხატვრების შემოქმედებას ეძღვნებოდა... ამავდროულად, მოდის ისტორიკოს ალექსანდრ ვასილიევს მე-17-მე-20 საუკუნეების ქალის ქუდები ჰქონდა გამოფენილი. თავსამკაული საოცარ სილამაზეს, ჰაეროვნებასა და აღმაფრენას ბადებდა. სწორედ ამ შთაბეჭდილების შემდეგ გაჩნდა იდეა და ქუდების მთელი კოლექცია დავხატე, რომელსაც ,,იმპროვიზაცია ქუდების თემაზე“ დაერქვა.

1997 წელს, ქალაქ რეპინაში, ზამთარში მომიწია ყოფნა, მოთოვა და ჩემს შემოქმედებაში ფიფქების სერია წამოვიდა. გავიდა დრო და, ამ სურათებს პოეზია ძალიან მოუხდა. ანა ახმატოვა და ვლადიმერ ნაბოკოვი ჩემი საყვარელი პოეტები არიან – მათი პოეზიის ანარეკლი ჩემს ნახატებს საოცრად უხდება. ანა ახმატოვას რთული ცხოვრება ჰქონდა – მისი ყოფილი მეუღლე, პოეტი, კრიტიკოსი და ოფიცერი ნიკოლოზ გუმილიოვი 1921 წელს დახვრიტეს. სხვათა შორის, ნიკოლოზ გუმილიოვმა ბავშვობის რამდენიმე წელი თბილისში გაატარა. 1922 წლიდან, ანას წიგნები ცენზურის მკაცრი თვალით მოწმდებოდა და ბევრი რამ, რა თქმა უნდა, არ ქვეყნდებოდა. 1964 წლამდე, საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში წასვლა ეკრძალებოდა. მისი მეორე მეუღლე, ნიკოლოზ პუნინი, 1930-იან წლებში, ბოლშევიკებმა სამჯერ დააპატიმრეს და 1953 წელს, გადასახლებაში გარდაიცვალა. ანა ახმატოვას ერთადერთმა ვაჟმა, ლევ გუმილიოვმა ოცი წელი პატიმრობასა და გადასახლებაში გაატარა. ანა ცხოვრებაშივე რუსული ლიტერატურის კლასიკოსად ითვლებოდა, თუმცა ბოლშევიკები არ სწყალობდნენ...

ვლადიმერ ნაბოკოვი რუსი-ამერიკელი მწერალია – პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები რუსულად დაწერა, თუმცა საერთაშორისო აღიარება, როგორც პროზაიკოსს, ინგლისურ ენაზე დაწერილმა რომანებმა მოუტანა. მიმაჩნია, რომ ნაბოკოვის პოეზია უფრო მაღალია, ვიდრე – პროზა. მისი ლექსები ხატვის პროცესში შთამაგონებენ.

იმას ვხატავ, რასაც ვხედავ, მესმის და ვგრძნობ. 1986 წელს, ორი თვის განმავლობაში ბაიკალის ტბაზე, შემოქმედებით აგარაკზე, სოფელ ლისტვიანკაში ვიყავი. ყოველ საღამოს მხატვრები მსტუმრობდნენ და მაშინ გაჩნდა ნახატების დიდი სერია – „ბაიკალი“. მახსოვს, ერთმა კოლეგამ ჩურჩულით მკითხა, მართლა ასე ხედავო? მართლაც, ასე ვხედავ, წინასწარ ჩანახატს არ ვაკეთებ – პირდაპირ ვხატავ ისე, ვითომ ქარმა დაუბერა და... უცებ ყველაფერი მზადაა.

ყველა ხელოვანს თავისი ბედი აქვს... მოკრძალებული ადამიანი ვარ... ინტერნეტმა საშუალება მომცა, ფართო მასებისთვის ჩემი ნამუშევრები მიმეწოდებინა. ჩემი ქალიშვილის მეგობარი, დარია ჰედბერგი გავიცანი, რომელიც ფინეთში ცხოვრობს. დარია ჩემი ნამუშევრებით დაინტერესდა და ჩემი აგენტი და მენეჯერი გახდა...

2014 წლის 12 სექტემბერს, ჰელსინკის ერთ-ერთ პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზში, ფინეთში საქართველოს საელჩოსა და პროექტის – „დარიკო ბერიძის ხელოვნება“ ხელმძღვანელის, დარია ჰედბერგის ორგანიზებით, სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მხატვრის, დარიკო ბერიძის ფერწერული და ხელნაკეთი ნამუშევრების – დეკორატიული ქსოვილების, სამკაულების, სკულპტურა – გამოფენა მოეწყო. გამოფენის გახსნაზე მიწვეულნი იყვნენ ფინელი კულტურის მოღვაწეები, ფინეთის პარლამენტის წევრები, ჰელსინკში მცხოვრები ქართველები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ფინეთში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი მესხელმა. პროექტის ხელმძღვანელმა, დარია ჰედბერგმა ვრცლად ისაუბრა მხატვარსა და მის ნამუშევრებზე. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ქართული ღვინო და კერძები დაეგემოვნებინათ.

ნათია გოგიტიძე





ᲩᲘᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II
ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
2015

№ 4
(268)

17

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ.
ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

1 3 5

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ
- ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ
- ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲐ
- Ა�გᲠᲝᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ
- ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲝᲓᲣᲚᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ ᲠᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ (minor ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲨᲘ)

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
- ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ
- ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐ** – Food Technology - **0104**
- **ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ** *minor*

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ 2250 ᲚᲐᲠᲘ

18 № 4 (268) 28.I-3.II იანვარი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲠᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ

22 წლის ბრიტანელი კლარა დელევინი მსოფლიო მოდის ახალი ვარსკვლავია, თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ პოდიუმს დროზე ადრე დაემშვიდობოს. ყოველ შემთხვევაში, პაპარაცები ირწმუნებიან, რომ კლარა გასუქდა. პაპარაცები, ნათქვამის საილუსტრაციოდ, ფოტოებსაც აქვეყნებენ, რომლებიც მოდელს მალიბუში გადაუღეს, სადაც კლარა კენდალ ჯენერთან ერთად ისვენებს.

ფოტოებზე მოდელი დედიშობილაა აღბეჭდილი.

ᲙᲘᲐᲜᲣ ᲠᲘᲕᲖᲘ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲡ ᲔᲛᲘᲯᲜᲔᲑᲐ

მართალია, ზოგი თვლის, რომ ჰოლივუდი „გარყვნილების ბუდეა“, მაგრამ როგორც ჩანს, იქაც არიან ადამიანები, ვისთვისაც ზედმეტი სიშიშვლე მიუღებელია. ასე მაგალითად, მსახიობი კიანუ რივზი, რომელმაც პლანეტის დიაცებს თავი „მატრიცაში“ განსახიერებული როლით შეაყვარა, იმ მამაკაცებს უპირისპირდება, რომლებიც ცოლებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებივით ჩაცმის უფლებას აძლევენ.

„არ შემიძლია, ისეთი სამყაროს ნაწილი გავხდე, სადაც არ არსებობს ღირსება და პატივისცემა; სადაც ქალებს არ სურთ ბავშვების ყოლა, მამაკაცებს კი, — ოჯახის; სადაც ცინგლიანი ბავშვები, თუკი მამის მანქანას ჩაიგდებენ წარმატებულები არიან და სადაც ყველა, ვისაც ოდნავი ძალაუფლება აქვს, ცდილობს დაგიმტკიცოს, რომ არარაობა ხარ; სადაც ხალხი თვალთმაქცურად აცხადებს, რომ მორწმუნეა და ეს მაშინ, როცა რელიგიასთან ოდნავი კავშირიც არ აქვს; სადაც მოკრძალება მინუსად ითვლება; სადაც ხალხს სიყვარული დაავიწყდა და მხოლოდ საუკეთესო პარტნიორს ეძებს; სადაც ბიჭები მშობლების ფულს კლუბებში, გართობასა და ნარკოტიკებში ფლანგავენ და გოგონებს ისინი მოსწონთ; სადაც ქალსა და კაცს შორის განსხვავება არაა. მე ვირჩევ ჩემს გზას და ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ ვიპოვე ადამიანი, რომელიც ჩემზე მეტად ცდილობს საკუთარი გზის პოვნას“, — აცხადებს კიანუ რივზი.

ᲕᲔᲤᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

როგორც სპეციალისტები იუწყებიან, ბოლო 4 წლის განმავლობაში, ინდოეთში ე.წ. ბენგალური ვეფხვების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა და მათმა რაოდენობამ 2 226-ს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებმა, რომელთა თქმითაც, მსოფლიოს ვეფხვთა 70 პროცენტი სწორედ ინდოეთში ცხოვრობს, ვეფხვებს ფოტოებიც გადაუღეს...

ᲣᲪᲮᲝᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲐ�გᲖᲐᲕᲜᲔᲡ

ავსტრიული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასტრონომების ჯგუფი, რომელსაც მკვლევარი ემილ პეტროვი ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ ღრმა კოსმოსში უცნაური წარმომავლობის ძლიერი რადიოსიგნალი დააფიქსირეს.

„ადგილი, საიდანაც სიგნალი ტელესკოპ „პარქსის“ დახმარებით მივიღეთ, დედამიწიდან 5,5 მილიარდი სინათლის წლითაა დაშორებული, თუმცა დედამიწაზე რამდენიმე წამში ჩამოაღწია. ამასთან, ისეთ ენერგიას ფლობდა, რომელიც შეიძლება, მზის ენერგიას გაუტოლდეს“, — ამბობენ მეცნიერები და იქვე დასძენენ, რომ კოსმოსის იმ რეგიონში, საიდანაც სიგნალი წამოვიდა ორი შავი ხვრელია.

„შეგვიძლია, დანამდვილებით ვთქვათ, რომ სიგნალი ამ შავი ხვრელებიდან არ წამოსულა“, — აცხადებენ მკვლევარები და მიანიშნებენ, რომ დედამიწელებთან კავშირზე შესაძლოა, უცხოპლანეტელები გამოვიდნენ.

სხვათა შორის, ეს უცნაური რადიოსიგნალი პირველად 2007 წელს დაფიქსირდა. მოგვიანებით კი, ავსტრალიურმა ტელესკოპმა „პარკსმა“ კიდევ ექვსი მსგავსი ტალღა „გამოავლინა“.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

28.I-3.II ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2015

№ 4 (268)

19

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ



ᲯᲔᲜᲘᲤᲔᲠ ᲚᲝ�პᲔᲖᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა და პროვოკაციულმა ჟურნალმა „ფლეიბოიმ“ პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალების ათეული გამოაქვეყნა, რომელსაც ჯენიფერ ლოპესი ლიდერობს.

პლანეტის მამაკაცთა მიერ შედგენილ სექსუალური დიაცების ათეულში, ასევე, მოხვდნენ: ნატალი პორტმანი, კიმ კარდაშიანი, ბიონსე, ჰოლი ბერი, მეგან ფოქსი, კრისტინა ჰენდრიქსი, მიშელ უილიამსი, სკარლეტ იოჰანსონი და პამელა ანდერსონი.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲜᲝᲔᲡ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ

არიან ადამიანები, რომელთაც ნოეს კიდობანი ბიბლიური ლეგენდა ჰგონიათ, მაგრამ მკვლევარები იმ თიხის ფირფიტაზე დაყრდნობით, რომელიც, სავარაუდოდ, 3 900 წლისაა, ირწმუნებიან, რომ ნოეს კიდობანი ნამდვილად არსებობდა. ამასთან, მეცნიერები აცხადებენ, რომ უფალს კიდობანის აგების ნება ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1850 წელს, შუმერთა მეფე აგრამა ხარისმა სთხოვა.

ზემოხსენებულ თიხის ფირფიტაზე არსებული ნახაზები ცხადყოფს, რომ კიდობანი უზარმაზარი ხომალდი კი არა, ყუთი იყო, რომელსაც 66 მეტრის დიამეტრი ჰქონდა.

ამავე ნახაზებით, ორსართულიანი კიდობანი ფისით გაჟღენთილი თოკებით უნდა ყოფილიყო შეკრული.

ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

ისინი დღეს წარმატებულები არიან და მსოფლიოს განაგებენ, მაგრამ იყო დრო, როცა არაფრით გამოირჩეოდნენ და ცუდ მოწაფეებად თუ სტუდენტებად ითვლებოდნენ. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ გერმანულ გამოცემას თუ დავუჯერებთ, გერმანიის მოქმედი კანცლერი ანგელა მერკელი, რომელსაც ბერლინის მეცნიერებათა აკადემია აქვს დამთავრებული, „სამოსანი“ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, გამოცემის მიერ მოპოვებული საუნივერსიტეტო დოკუმენტებით, ასპირანტურის და დოქტორანტურის კურსების გავლისას, ანგელას მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიაში არაერთი „სამიანი“ მიუღია.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ მერკელს არც ფიზიკა ჰყვარებია, მიუხედავად ამისა, სადოქტორო მაინც კვანტურ ფიზიკაში დაიცვა.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტაციას ანგელა მერკელი არ ასაჯაროებდა. ამიტომ, გამოცემა იძულებული გახდა, სასამართლოსთვის მიემართა, რომელმაც ჟურნალისტების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ცნობისთვის: ანგელა მერკელი აღმოსავლეთ გერმანიაში დაიბადა და მაშინდელი კანონით, მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლა ყველა აღმოსავლეთ გერმანელს ევალებოდა.

ᲚᲔᲓᲘ ᲒᲐᲒᲐ ᲒᲐᲛᲔᲚᲝᲢᲓᲐ

ამერიკულ ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, ლედი გაგა, რომელიც თმაზე ექსპერიმენტებს არ ერიდება, მელოტდება.

„დიახ, თმა მცვივა, მაგრამ ამის გამო არ ვნერვიულობ“, — აცხადებს ეპატაჟური მომღერალი.

„ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ 11 875 ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ

„ტიტანიკის“ გადარჩენილი მგზავრი ქალბატონის წერილი, როგორც პორტალი „კვირა“ წერს, 1912 წლის მაისშია დაწერილი. თავად გადარჩენილი მგზავრი კი, იმხანად ცნობილი დიზაინერი ლიუსი დაფ გორდონი გახლდათ.

„ასე მგონია, არასწორად მოვიქეცით, როდესაც გადავრჩით. განა, ეს აღმაშფოთებელი არ არის?!“ — წერდა ლიუსი.

არსებული ინფორმაციით, ნავზე, რომლითაც ლიუსიმ და მისმა ქმარმა თავის გადარჩენა მოახერხეს, მხოლოდ 12 ადამიანი იმყოფებოდა. არადა, ნავი 40 ადამიანისთვის იყო განკუთვნილი. მოგვიანებით, ცოლ-ქმარი სამაშველო ნავის ეკიპაჟის მოსყიდვაში დაადანაშაულეს, თუმცა ეს ბრალდება არ დამტკიცდა.

ჯანსულის სიცილნათელები

ფასი ეროვნულობის

მე გეუბნები შენ, ტვინმორეხვილს,
გთხოვ, გაიხსენო აკვნის გამთლელი,
თუ სომეხი ხარ, იყავ სომეხი,
თუ ქართველი ხარ, იყავ ქართველი
და თუნდ მტრებისა ცეცხლში იწვოდე,
ეროვნულობის ფასი იცოდე.

ლანძღვა

ქართველმა ცხრა წელი იძინა,
რას იზამ, დრო-ჟამი ფლიდია,
„ნაცებო“, ნუ ლანძღავთ ბიძინას,
ეგ ლანძღვა სულ „სირზე“ ჰკიდია.
ვიცი, ცუდად ყოფნას განიცდით,
„ოცნებამ“ თავები გიმტვრიათ,
რა ვქნა, თქვენ ისიც არ იცით,
„სირი“ ძველქართულად ჩიტია.

გაიხარეთ, „ნაცებო“!

უნდა დიდხანს „იცოცხო“,
ამ ქვეყანას რას უშლი?
გერმანულად – „შპიონი“.
ქართულად ხარ ჯაშუში.
მე შენთან მაქვს დუელი,
ამას ვამბობ საღი ხმით,
პოლონურად – „შულერი“,
ქართულად ხარ თაღლითი.

ყმენ სირიკოშვილს!

კაცობრიობის ტანკი
ვინ მოგცა,
ანდა ეგ გვარი –
„კროჭი“.
დაბადების დღეს
გილოცავ,
ჰოდა,
შეგიწვი გოჭი.
რაც უნდა მეთქვა,
გითხარი,
სუყველაფერი
მოჭრით.

რეგვენო!

ბაცილა ხარ, მიკრობი ხარ,
შენ გინდა, რომ იყო დიდხანს
და ამქვეყნად რასაც ცდილობ,
არის მართლა სასაცილო.

საინფორმაციო მხარდაჭერა

სავაჭრო ცენტრი „საბა“ – მაქსიმალური კომფორტი

სავაჭრო ცენტრი „საბა“ თბილისში ერთადერთი მრავალპროფილიანი სავაჭრო ცენტრია, რომელიც მომხმარებელს ავეჯის ფართო არჩევანს სთავაზობს – ავეჯის მსხვილი ბრენდების უმეტესობას მაღაზიები სწორედ „საბა“-ში აქვს გახსნილი!

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ცენტრი „საბა“, რომელიც თბილისში ერთ-ერთი უდიდესი გასაქირავებელი კომერციული ფართების შენობაა, კლიენტებს სავაჭრო ფართებზე არსებული დაბალი საიჯარო გადასახადით იზიდავს (კვ.მეტრი 10-დან 13 აშშ დოლარამდე), რაც ხელს ბაზრის ჩამოყალიბებასა და ფასების რეგულირებას უწყობს.

ამასთან, „საბა“ მოიჯარეებს უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებს – ხანძრისა თუ სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციების 24-საათიან ვიდეო და სხვა სახის კონტროლს სთავაზობს, რასაც უსაფრთხოების სამსახურის მაღალკვალიფიციური თანამშრომლები უზრუნველყოფენ.

„საბაში“, ავეჯის სხვა სახლებთან შედარებით, ავეჯის ფასი დაბალი და მოსახლეობის ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომია, რაც კომპანიის მთავარი კონკურენტული უპირატესობაა!

სავაჭრო სახლი „საბა“ მომხმარებელს ავეჯის სხვადასხვა ტიპს სთავაზობს– როგორც იმპორტირებულს, ასევე, საქართველოში წარმოებულ პროდუქციას.

სავაჭრო ცენტრი „საბა“ – ესაა „ქალაქი ქალაქში“, სადაც მალე მხოლოდ ავეჯის კი არა, საოჯახო ტექნიკისა და სარემონტო მასალების შეძენაც შეგეძლებათ!

მის.: ქ. თბილისი, თ.ერისთავის №5
ტელ.: 269-26-53

სავაჭრო ცენტრი „საბა“ – მაქსიმალური კომფორტი!

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით